ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

კომუნისტი

ГАЗЕТИ გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 16 (19757) სამშაბათი, 20 იანვარი, 1987 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება „სატელევიზიო და სხვა სახეობის კავშირგაბმულობით მოსახლეობის მომსახურების გაუმჯობესებისათვის სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროს მუშაობის შესახებ“.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტრო არადამაკმაყოფილებლად გარდაქმნის თავიანთ საქმიანობის სტილსა და მეთოდებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმის გადაწყვეტილებებისა და პარტიის XXVII ყრილობის მითითებების შესაბამისად. კავშირგაბმულობის საშუალებით მოსახლეობის მომსახურების დონე სერიოზულად ჩამორჩება თანამედროვე მოთხოვნებს, რაც მძრომელთა ამარაგ საფუძვლიან საყვედურს წარმოადგენს.

დარგში სუსტად გამოიყენება შექმნილი ტექნიკური პოტენციალი, სატელეფონო სადგურების სრულებელი სიმძლავრეები ბევრ ადგილებში ხანგრძლივი დროის მანძილზე მოლიანად არ ამოქმედებულა. ნელა მიმდინარეობს მოქმედი საწარმოების რეკონსტრუქცია და მოდერნიზაცია.

სატელეფონო კავშირის განვითარების ტემპი ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის ზარდ მოთხოვნილებებს. მრავალი ოჯახი დიდხანს ელოდება ტელეფონების დადგმას. ბევრ სასტუმროში, ვაგზალში, აეროპორტში, დასასვენებელ სახლში არ არის სალაპარაკო პუნქტები. სატელეფონო კავშირის უმაბობის ხარისხი კვლავ მდარეა. ხშირად არ არის უზრუნველყოფილი კარგი სმენადობა, არცთუ ისე იშვიათად წყდება საუბარი.

სერიოზული ნაკლოვანებანი ახასიათებს ფოსტისა და ტელეგრაფის მუშაობას. ხშირად ირღვევა კორესპონდენციის მიტანის ვადები, არის საფოსტო გზავნილების დაკარგვის შემთხვევები.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროს ხელმძღვანელობა არ ეწევა მიზანდასახულ მუშაობას იმისათვის, რომ დაჩქაროს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, შექმნას თანამედროვე სახეობათა მოწყობილობა და აპარატურა, სრულყოს მათი ექსპლოატაცია, დააკმაყოფილოს მოთხოვნები. არ ყურადღებას აქცევენ ბრეწველობას კავშირგაბმულობის ახალი საშუალებების შექმნისა და მიწოდების საკითხში. განსაკუთრებით ნელა ინერგება ელექტრონისა და ტექნიკის მიღწევები სატელეფონო და საფოსტო კავშირის განვითარებაში.

დარგის ხელმძღვანელები სათანადო ყურადღებას არ უთმობენ ადამიანების შერჩევას, განაწილებასა და აღზრდას, იჩენენ ამ მუშაობაში ფორმალიზმს, ჯეროვნად არ მოჰკითხავენ მუშაკებს სამსახურებრივი მოვალეობის ზუსტად შესრულებისათვის, მათი პროფესიული დონის ამაღლებისათვის, მოსახლეობის მომსახურების მაღალი კულტურის უზრუნველყოფისათვის. საწარმოებში ჯერ კიდევ დაბალია შრომის დისციპლინის დონე, ცალკეული მუშაკები უხეშობასა და უყურადღებობას იჩენენ აბონენტებისადმი.

სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროს პარტიული კომიტეტი საკმაოდ აქტიურად არ ეწევა ორგანიზატორულ მუშაობას აპარატის საქმიანობის სრულყოფის, დარგის წინაშე მდგომი ამოცანების გადაწყვეტისათვის მისი პასუხისმგებლობის გაძლიერების მიზნით. სამინისტროს მთელი რიგი პარტორგანიზაციებში პერსონალურად არ მოჰკითხავენ კომუნისტებს, კრიტიკას ზოჯერ უსაგნო ხასიათი აქვს, ყოველთვის პრინციპულად არ ფასდება საქმის ნამდვილი მდგომარეობა.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროს ხელმძღვანელებს მოსთხოვა დააჩქარონ აპარატის, საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა საქმიანობის ტერმინოლოგიის გარდაქმნა სკკპ XXVII ყრილობის მოთხოვნების შესაბამისად, გააძლიერონ პასუხისმგებლობა კავშირგაბმულობის სამსახურზე ადამიანებისა და სახალხო მეურნეობის მოთხოვნილების უზრუნველყოფად. მკაცრი და ქმედითი კონტროლი დაიწესონ კავშირგაბმულობის საშუალებების განვითარების საკითხებზე პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულებას, აამაღლონ სამინისტროს საწარმოო პოტენციალის გამოყენების დონე, გაზარდონ დაქვეითებრივებული საწარმოებისა და ორგანიზაციების ეფექტიანობა, ეფექტიანად ეფექტიანობა, ეფექტიანად ეფექტიანობა, ეფექტიანად

ᲙᲣᲗᲜᲚᲔᲓᲘ — ᲙᲐᲠᲘᲡᲙᲘ ᲓᲐ ᲭᲔᲛᲞᲘ

(ᲑᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ)

ტორო ორგანიზაციების ძირითადი ნაწილი მოექცა საწარმოო და სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებების შემადგენლობაში. შეიქმნა დარგთშორისი სამეცნიერო-ტექნიკური კომპლექსები, რომლებიც ორიენტირად ისახავენ ახალი თაობის ტექნიკის, ტექნოლოგიისა და მასალების შემუშავებას. სრულდებოდა ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის კომპლექსური პროგრამით გათვალისწინებული დავალებები.

შეიქმნა მანქანების, მოწყობილობის, აპარატების, ხელსაწყოებისა და ავტომატიზაციის საშუალებების 3,5 ათასი ნიმუში. მაგრამ მთელი რიგი გამოკვლევებისა და ნამუშევრების შედეგები დიდხანს სრულდება და ინერგება. შექმნილი ნიმუშების მნიშვნელოვან წილს წარმოებაში მესამე და მომდევნო წლებში ითვისებენ.

მეცნიერებისა და ტექნიკის ძიღწევების რეალიზაცია ხორციელდებოდა შრომითი კოლექტივების აქტიური მონაწილეობით. ქვეყნის სახალხო მეურნეობაში გამოიყენეს 24 ათასი გამოგონება და 4 მილიონზე მეტი რაციონალიზატორული წინადადება.

ტექნიკური განახლება და რეკონსტრუქცია

მოქმედი წარმოების ტექნიკური განახლებისა და რეკონსტრუქციის მიზნით გამოყოფილია წინა წელთან შედარებით 17 პროცენტით მეტი სახსრები, ამასთან 8 პროცენტით არის გათვალისწინებული კაპიტალდაბანდებათა საერთო მოცულობის გადიდება. საწარმოო მშენებლობისათვის კაპიტალდაბანდებათა საერთო მოცულობაში ტექნიკური განახლებისა და რეკონსტრუქციის დანახარჯების წილმა 42 პროცენტს მიაღწია.

სახალხო მეურნეობაში ამოქმედებულია 181 მილიარდი მანეთის ძირითადი ფონდები, მათ შორის საწარმოო — 130 მილიარდ მანეთისაზე მეტი. ახლად ამოქმედებული საწარმოო ფონდების ხვედრითმა წილმა მათ საერთო მოცულობაში 1986 წლის დამლევისათვის 7 პროცენტი შეადგინა.

რესურსების დაზოგვა

უფრო რაციონალურად იყენებენ ახლა **შრომითს რესურსებს.** საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით მიღებულია ეროვნული შემოსავლის მატების დაახლოებით 94 პროცენტი, უზრუნველყოფილია 3,8 მილიონი კაცის შრომის დაზოგვა.

სახალხო მეურნეობის დარგებში შრომის ნაყოფიერების ზრდა მნიშვნელოვანწილად მიღწეულია ხელის შრომის გამოყენების შემცირების (გამოთავისუფლებულია დაახლოებით მილიონი კაცი), სამუშაო დროის დანაკარგების (საშუალოდ 20 პროცენტით) და კადრების დენადობის შემცირების, პროფესიებისა და თანამდებობების შეთავსების პრაქტიკის გაფართოების საფუძველზე. მარტო პროფესიებისა და თანამდებობების შეთავსების შედეგად სამუშაო ძალაზე დამატებითი მოთხოვნილება შემცირებულია 600 ათასი კაცით და მეტად.

იზრდება შრომითი კოლექტივების ინიციატივა, მტკიცდება დისციპლინა და წესრიგი. იკლო მშრომელთა უსაფუძვლო განრიდებამ ძირითადი საქმიანობისაგან, მაგრამ მისი სიდიდე ჯერ კიდევ მნიშვნელოვანია.

კიდევ უფრო გავრცელდა **შრომის ბრიგადული ორგანიზაცია.** მაგრამ მისი ყველაზე პროგრესული ფორმების — სამეურნეოანგარიშიანი, იჯარის პირობებით მომუშავე ფორმების ხვედრითი წილი ჯერ ისევ მცირეა.

წარმოებდა სამუშაო ადგილების ატესტაცია და რაციონალიზაცია, ბევრ დარგში ეს მუშაობა ჯერ კიდევ ნელა ვითარდება და არ იძლევა საგრძნობ შედეგებს.

მუშა-მოსამსახურეთა საშუალო წლიურმა რიცხვმა 118,5 მილიონი შეადგინა და წლის მანძილზე 0,7 მილიონით გაიზარდა; კოლმეურნეებისა (საზოგადოებრივი მეურნეობა) — 12,8 მილიონით.

უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების იმ სპეციალისტთა რიცხვმა, რომლებიც სახალხო მეურნეობაში არიან დასაქმებული, 35 მილიონს მიაღწია. პროფესიულ-ტექნიკურმა სასწავლებლებმა მოამზადეს 2,6 მილიონი კვალიფიციური მუშა.

უშუალოდ წარმოებაში ახალი პროფესიები შეასწავლეს დაახლოებით 7 მილიონ კაცს.

ამასთან მთელ რიგ დარგებში კვლავ შეინიშნება დიპლომიანი სპეციალისტების არარაციონალური გამოყენების პრაქტიკა. აქედან დაახლოებით 4 მილიონი კაცი მუშაობს თანამდებობებზე, რომლებიც არ მოითხოვენ მომზადების ასეთ დონეს. გაიზარდა **მატერიალური რესურსების** გამოყენების ეფექტიანობა. ეროვნული შემოსავლის ენერგოტევადობა შემცირდა 1,6 პროცენტით, ლითონტევადობა — 0,6 პროცენტით.

შესრულებულია ძირითად სახეობათა მატერიალური და სათბობ-ენერგეტიკული რესურსების დაზოგვის დადგენილი დავალებანი. **დაზოგილია** 35 ათასი ტონა ფეროადი ლითონის ნაგლინი, 80 ათასი ტონა ცალკეულ სახეობათა მილები, 20 მილიონ ტონაზე მეტი პირობითი სათბობი. სათბობსა და ენერგიაზე სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებათა მატება 42 პროცენტით უზრუნველყოფილია მათი დაზოგვის გზით. ამასთან ცალკეული სამინისტროები და უწყებები რაციონალურად არ იყენებდნენ მატერიალურ რესურსებს, ვერ შეასრულეს მათი დაზოგვის დადგენილი დავალებანი (საქვაბე-საღუმლე სათბობისა — სსრ კავშირის ენერგეტიკის სამინისტრომ, ელექტროენერგიისა — სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრომ, სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ; შავი ლითონების ნაგლინისა—სსრ კავშირის საავტომობილო მრეწველობის სამინისტრომ და სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტრომ). საკმარისად არ იყენებენ სახალხო მეურნეობაში მეორეულ ნედლეულს.

შეინიშნება კაპიტალურ მშენებლობაში საწყობებში დაუდგმელი მოწყობილობის მარაგის შემცირების ტენდენცია.

საწარმოო პოტენციალის გამოყენება

ძირითადი საწარმოო ფონდების გამოყენების კოეფიციენტების დიდმნიშვნელოვანი ფაქტორია **საწარმოთა გადასვლა მუშაობის ორ, სამცვლიან რეჟიმზე.** ახლა იგი ხორციელდება ლენინგრადში, ხარკოვის, კურსკის ოლქებში, ლატვიის სს რესპუბლიკასა და ქვეყნის მთელ რიგ სხვა რეგიონებში.

კვლავ სერიოზული ნაკლოვანებებია ახლად ამოქმედებული და რეკონსტრუირებული სიმძლავრეების ათვისებაში. უაღრესად დაბალ დონეზე ითვისებენ ახლად ამოქმედებულ სიმძლავრეებს სსრ კავშირის ნავთობქიმიური მრეწველობის სამინისტროს გაერთიანება „ჩიმკენტსალტეზი“, სსრ კავშირის ხელსაწყოთმშენებლობის სამინისტროს ალიბაირამლის სამრეწველო ავტომატიკისა და ტელემექანიკის ქარხანაში, სსრ კავშირის საავტომობილო მრეწველობის ეუთაისის საავტომობილო ქარხანაში, სსრ კავშირის მეცხოველეობის მანქანათმშენებლობის სამინისტროს გაერთიანება „გომსოფლმანქანის“ სხვადასხვა ტიპის ნორმალების ქარხანაში, სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს კოროვსკოის მელანის კომბინატში (მოსკოვის ოლქი).

პრაქტიკულად არ დაწყებულა პროდუქციის გამოშვება, თუმცა ათეულობის ვადები გავიდა, ბარნაულის გაერთიანება „ქიმმოჭკოს“ (სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის სამინისტრო), დნეპროძერჟინსკის ელექტრული საშემსრულებლო მექანიზმების ქარხნის (სსრ კავშირის ხელსაწყოთმშენებლობის სამინისტრო) ახალ სიმძლავრეებზე: არ აუთვისებიათ ახლად ამოქმედებული სიმძლავრეები სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს ისეთ საწარმოებში, როგორიც არის თბილისის აბრეშუმის გაერთიანება, ხოჯეილის სართავ-საქსოვი ფაბრიკა, უზბეკეთის სსრ ჩარტაკის სამკერვალო-ტრიკოტაჟის ფაბრიკა.

ცალკეულმა სამინისტროებმა და უწყებებმა ვერ შეასრულეს პროდუქციის თვითღირებულების შემცირების დავალებანი. საწარმოო გაერთიანებებისა და საწარმოების დაახლოებით მეოთხედმა ვერ შეასრულა გეგმა საფინანსო შედეგების მიხედვით.

მართვისა და სამეურნეო მექანიზმის სრულყოფა

მრეწველობაში მეურნეობრიობის ახალ პირობებში მუშაობდა საწარმოო გაერთიანებებისა და საწარმოების მესამედი, რომლებმაც გამოუშვეს სამრეწველო პროდუქციის საერთო მოცულობის ნახევარზე მეტი.

მეტმა წილმა სამინისტროებმა გაუმჯობესეს სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულება, დაჩქარდა შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპი. უფრო სრულად გამოიყენება შესაძლებლობანი წარმოების განვითარების ფონდის სახსრების ხარჯზე ტექნიკური განახლების მასშტაბის გაფართოებისათვის.

ახალ პირობებში მომუშავე რკინიგზებმა შეასრულეს ტვირთზიდვის გეგმა ნაკლები რაოდენობის მუშაკებით, მიაღწიეს შრომის ნაყოფიერების ზრდისა და თვითღირებულების შემცირების უფრო სწრაფ ტემპს, ვიდრე მთლიანად რკინიგზების ქსელში.

მართვის ორგანიზაციული სტრუქტურების სრულყოფის შედეგად სახალხო მეურნეობის წამყვანმა დარგებმა პირველად მრავალი წლის განმავლობაში შეამცირეს მართვის ორგანიზების აპარატის მუშაკთა რიცხვი. შემოღებულია მრეწველობის დარგების მართვის ახალი გენერალური სქემები.

სამეურნეო პრაქტიკაში ინერგება კომბინატები — აგროსამრეწველო კომპლექსი სხვა დარგებთან სოფლის მეურნეობის ინტეგრაციის ფორმა. ასეთი საწარმოები შეიქმნა რუსეთის სფს რესპუბლიკაში, უკრაინის სს და ბელორუსიის სს რესპუბლიკებში. ლატვიის სს და ტაჯიკეთის სს რესპუბლიკებში კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების გადამუშავებელი მრეწველობის საწარმოებისა და სავაჭრო ორგანიზაციების ინტეგრაციის საფუძველზე ამოქმედდა აგროსავაჭრო ფირმები.

განხორციელდა მშენებლობის მართვის გარდაქმნა, გაძლიერდა ქვეყნის ერთიანი სამშენებლო კომპლექსის ცენტრალიზებული ხელმძღვანელობა.

დაიწყო მუშაობა საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის გაუმჯობესებისათვის. ვითარდება თანამშრომლობის ახალი ფორმები, მტკიცდება პირდაპირი საწარმოო კავშირ-ურთიერთობა მომძე ქვეყნების საწარმოებთან. იქმნება ერთობლივი საწარმოები და გაერთიანებები საბჭოთა და საზღვარგარეთის ორგანიზაციებისა და ფირმების მონაწილეობით.

მეურნეობრიობის ახალ შეთოდებს ჯერ კიდევ საკმარისად ინტენსიურად ვერ ითვისებენ, სათანადო გავლენას ვერ ახდენენ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში თვისებრივად ახალი ძვრების მიღწევაზე.

III. მატერიალური წარმოების განვითარება

მრეწველობა

მრეწველობაში რამდენადმე გაუმჯობესდა პროდუქციის **მიწოდების სახელშეკრულებო ვალდებულებათა** შესრულება. მაგრამ პროდუქციის რეალიზაციის გეგმა მიწოდების გათვალისწინებით შესრულდა 98,6 პროცენტით. სახელშეკრულებო დისციპლინა დაარღვია ყოველმა მეოთხე საწარმომ.

პროდუქციის რეალიზაციის წლიური გეგმა შესრულდა 101 პროცენტით, ყველა მოკავშირე რესპუბლიკამ და სამრეწველო სამინისტრომ, მოლდავეთის სს რესპუბლიკისა და სსრ კავშირის ატომური ენერგიის სამინისტროს გარდა, უზრუნველყო დავალებათა შესრულება.

დავალების გადაჭარბებით შესრულდა მეტი წილი **უმნიშვნელოვანეს სახეობათა ნაწარმის გამოშვების** დავალებანი. ვადამდე შესრულდა გაზის, ქვანახშირის მოპოვების, ფოლადის, ნაგლინის, ავტომობილების, ლითონსაჭრელი ჩარხების, გამოთვლითი ტექნიკის, სინთეზური სარეცხი საშუალებების, ქაღალდის, ავეჯისა და სხვა ნაწარმის გამოშვების წლიური გეგმა.

გაუმჯობესდა სამრეწველო წარმოების ეფექტიანობის ძირითადი მაჩვენებლები. **შრომის ნაყოფიერება გაიზარდა** 4,6 პროცენტით, გეგმით გათვალისწინებული 4,1 პროცენტის ნაცვლად, ამ გზით მიღებული წარმოების მატების 96 პროცენტი. მისი ზრდა წინ უსწრებდა საშუალო ხელფასის გადიდებას, შესრულდა სამრეწველო პროდუქციის **თვითღირებულების შემცირების** გეგმა, გაიზარდა **მოგება.**

უპირატესი ტემპით ვითარდებოდა დასავლეთ ციმბირის, საიანის, პავლოდარ-ეკიბასტუზის, კურსკის მაგნიტური ანომალიის ზონისა და ბამის ზონის ტერიტორიულ-საწარმოო კომპლექსების მრეწველობა.

წარმოებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპს, სამრეწველო პროდუქციის რეალიზაციის გეგმის შესრულებას **კომპლექსებისა და სამინისტროების** მიხედვით ახასიათებს შემდეგი მონაცემები:

	1986 წელი პროცენტებით 1985 წელთან შედარებით		პროდუქციის რეალიზაციის წლიური გეგმის შესრულების პროცენტი
	წარმოების მოცულობის მიხედვით	შრომის ნაყოფიერების მიხედვით	
სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსი	104	103	101
სსრ კავშირის ენერგეტიკის სამინისტრო	104	103	100,2
სსრ კავშირის ატომური ენერგეტიკის სამინისტრო	97	90	93
სსრ კავშირის ნავთობის მრეწველობის სამინისტრო	103	99,3	100,6
სსრ კავშირის გაზის მრეწველობის სამინისტრო	108	106	103
სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტრო	103	103	103
მეტალურგიული კომპლექსი	104	104	102
სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტრო	104	105	102
სსრ კავშირის ფერადი მეტალურგიის სამინისტრო	103	103	101
მანქანათმშენებელი კომპლექსი	106	107	102
სსრ კავშირის ენერგეტიკული მანქანათმშენებლობის სამინისტრო	107	107	100,9
სსრ კავშირის მძიმე მანქანათმშენებლობის სამინისტრო	105	106	101
სსრ კავშირის ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტრო	107	109	100,9
სსრ კავშირის ქიმიური მანქანათმშენებლობის სამინისტრო	106	107	100
სსრ კავშირის ჩარხსაშენებელი მრეწველობის სამინისტრო	108	108	100,3
სსრ კავშირის ხელსაწყოთმშენებლობის სამინისტრო	109	108	102
სსრ კავშირის საავტომობილო მრეწველობის სამინისტრო	105	106	102
სსრ კავშირის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტრო	107	107	102
სსრ კავშირის მეცხოველეობის მანქანათმშენებლობის სამინისტრო	105	105	100,3
სსრ კავშირის საგზაო მანქანათმშენებლობის სამინისტრო	107	107	103
სსრ კავშირის მსუბუქი და კვების მრეწველობის მანქანათმშენებლობის სამინისტრო	107	108	100
ქიმიურ-სატყეო კომპლექსი	105	105	100,9
სსრ კავშირის ნავთობქიმიური მრეწველობის სამინისტრო	103	103	100,8
სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის სამინისტრო	107	108	101
სსრ კავშირის სასუქების წარმოების სამინისტრო	108	107	101
სსრ კავშირის სამედიცინო და ბიოლოგიური მრეწველობის სამინისტრო	110	109	100,8
სსრ კავშირის ხე-ტყის, ცელულოზა-ქაღალდისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტრო	105	106	100,8
აგროსამრეწველო კომპლექსი	104	105	101
სსრ კავშირის სახაგრომრეწვი	105	105	100,3
სსრ კავშირის თევზის მეურნეობის სამინისტრო	105	106	104
სსრ კავშირის პურაპროდუქტების სამინისტრო	102	102	102
—·—	—·—	—·—	
სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო	102	105	100,5
სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო	104	105	101

ქვეყნით მოგვყავს ზრდის ტემპისა და პროდუქციის რეალიზაციის გეგმის შესრულების მაჩვენებლები **მოკავშირე რესპუბლიკების** მიხედვით, მათ შორის საკავშირო დაქვემდებარების მრეწველობისა:

	1986 წელი პროცენტებით 1985 წელთან შედარებით		პროდუქციის რეალიზაციის წლიური გეგმის შესრულების პროცენტი
	წარმოების მოცულობის მიხედვით	შრომის ნაყოფიერების მიხედვით	
რუსეთის სფსრ	104,8	104,9	101
უკრაინის სსრ	104,4	104,3	100,8
ბელორუსიის სსრ	107,0	106,6	102
უზბეკეთის სსრ	105,8	103,5	101
ყაზახეთის სსრ	105,6	104,5	101
საქართველოს სსრ	104,6	104,1	100,9
აზერბაიჯანის სსრ	105,0	103,9	101
ლიტვის სსრ	105,0	104,5	102
მოლდავეთის სსრ	106,2	105,3	99,2
ლატვიის სსრ	103,9	104,0	102
ყირგიზეთის სსრ	105,3	103,6	101
ტაჯიკეთის სსრ	102,7	100,6	102
სომხეთის სსრ	105,6	104,1	101
თურქმენეთის სსრ	105,8	103,9	102
ესტონეთის სსრ	103,8	104,4	102

წარმოების გეგმის შესრულებას უმნიშვნელოვანესი სამრეწველო კომპლექსების მიხედვით ახასიათებს შემდეგი მონაცემები:

სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსი

	წარმოებულია 1986 წელს	წლიური გეგმის შესრულების პროცენტი	1986 წელი 1985 წელთან შედარებით
ელექტროენერგია, მილიარდი კილოვატსაათი	1599	99,6	104
ნავთობი (გაზის კონდენსატის ჩათვლით), მილიონი ტონა	615	99,7	103
გაზი, მილიარდი კუბური მეტრი	686	102	107
ქვანახშირი, მილიონი ტონა	751	102	103

სტაბილურად მუშაობდა გაზისა და ქვანახშირის მრეწველობა. გაუმჯობესდა მდგომარეობა ნავთობის მრეწველობაში, სადაც აღდგენილია ნავთობის მოპოვების წინათ მიღწეული დონე.

გეგმის გადაჭარბებით მოპოვებულია 14 მილიარდი კუბური მეტრი გაზი და 17 მილიონი ტონა ქვანახშირი. ამასთან დაგვაკლდა დაახლოებით 2 მილიონი ტონა ნავთობი, მათ შორის გაზის კონდენსატი.

ვერ შესრულდა ელექტროენერგიის გამომუშავების გეგმა ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურში ბომბდარი ავარიით გამოწვეულ სიძნელეებთან და ქვეყნის ცალკეულ რეგიონებში მდინარეთა წყალნაკლებობასთან დაკავშირებით.

მეტალურგიული კომპლექსი

	წარმოებულია 1986 წელს	წლიური გეგმის შესრულების პროცენტი	1986 წელი 1985 წელთან შედარებით
ფოლადი, მილიონი ტონა	161	101	104
შავი ლითონების ნაგლინი (მზა), მილიონი ტონა	112	100,5	103
ფოლადის მილები, მილიონი ტონა	19,8	100,4	102
რკინის მადანი, მილიონი ტონა	250	101	100,9

გადაჭარბებულია ძირითად სახეობათა ლითონპროდუქციის გამოშვების დაგეგმილი დონე: ფოლადისა — 1,9 მილიონი ტონით, შავი ლითონების მზა ნაგლინისა — 606 ათასი ტონით, ფოლადის მილებისა — 69 ათასი ტონით.

ლითონპროდუქციის ეკონომიური სახეობების წარმოების გასადიდებლად განხორციელებულმა ღონისძიებებმა შესაძლებელი გახადა წლის განმავლობაში დაახლოებით 1,7 მილიონი ტონა ლითონის დაზოგვა.

მაგრამ ქვეყნის მოთხოვნილება ბევრი სახეობის პროგრესულ პროდუქციაზე სრულად არ კმაყოფილდება. სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტროს არ შეუსრულებია უწყვეტი სხმის მანქანებით მიღებული ვარგისი სხმული ნამზადების გამოშვების, თხელფურცლოვანი საკონსტრუქციო ცივდნაგლინი და დეკაპირებული ფოლადის, მაღალი სიმტკიცის სპეციალური მილების, ზოგიერთი სხვა სახეობის ეფექტიანი ლითონპროდუქციის გამოშვების გეგმა.

მანქანათმშენებელი კომპლექსი

	წარმოებულია 1986 წელს	წლიური გეგმის შესრულების პროცენტი	1986 წელი პროცენტებით 1985 წელთან შედარებით
ტურბინები, მილიონი კილოვატი	21,9	95	104
ტურბინების გენერატორები, მილიონი კილოვატი	14,9	84	121
ცვლადი დენის ელექტროძრავები	55,7	98	102
ლითონსაჭრელი ჩარხები, მილიარდი მანეთისა	2,9	107	109
მათ შორის რიცხვული პროგრამული მართვის	1,3	111	123
სამჭედლო-საწნეხი მანქანები, მილიონი მანეთისა	693	94	105
სამრეწველო რობოტები, ათასი ცალი	15.1	93	114
ხელსაწყოები, ავტომატიზაციის საშუალებები და მათი სათადარიგო ნაწილები, მილიარდი მანეთისა	4,8	102	105
გამოთვლითი ტექნიკის საშუალებები და მათი სათადარიგო ნაწილები, მილიარდი მანეთისა	4,8	109	113
ნავთობგადამამუშავებელი აპარატურა, მილიონი მანეთისა	247	97	108
ქიმიური მოწყობილობა და მისი სათადარიგო ნაწილები, მილიონი მანეთისა	966	96	103
მსუბუქი და კვების მრეწველობის ტექნოლოგიური მოწყობილობა და მისი სათადარიგო ნაწილები, მილიარდი მანეთისა	1,8	98	104
ტრაქტორები, მილიონი ცხენის ძალის	54,5	100,2	103
სასოფლო-სამეურნეო მანქანები, მილიარდი მანეთისა	4,0	99	109
მარცვლის ასაღები კომბაინები, ათასი ცალი	112	100,2	100,2
მეცხოველეობისა და საკვებწარმოების მანქანები და მოწყობილობა, მილიარდი მანეთისა	2,9	98	102
ექსკავატორები, ათასი ცალი	42,9	102	100,9

პროდუქციის საერთო მოცულობის მატება მანქანათმშენებლობაში 1,3-ჯერ მეტია, ვიდრე მთლიანად მრეწველობაში.

დაჩქარებული ტემპით ვითარდებოდა პროგრესული ლითონდამამუშავებელი მოწყობილობის, მათ შორის რიცხვული პროგრამული მართვის ჩარხებისა და სამჭედლო-საწნეხი მანქანების, გამოთვლითი ტექნიკის საშუალებების, ეკონომიური და დიდმწარმოებელური ამწე-სატრანსპორტო, სარკინიგზო მანქანებისა და მექანიზმების, ქვანახშირისა და ნავთობის მრეწველობის მოწყობილობის წარმოება.

ამასთან ერთად მანქანათსაშენებელ კომპლექსში სრულად არ ამოქმედებულა მეურნეობრიობის ახალი პირობების შესაძლებლობანი. წინა წელთან შედარებით გაუარესდა სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება მისი სამინისტროების უმრავლესობაში. შექმნილი მდგომარეობა განაპირობა მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის — ცვლადი დენის ელექტროძრავების, ქიმიური მოწყობილობის, სამჭედლო — საწნეხი მანქანების, ნავთობგადამამუშავებელი აპარატურის, ელექტროენერგეტიკული მოწყობილობის, პოლიგრაფიული მოწყობილობის გამოშვების საგეგმო დავალებათა შეუსრულებლობამ. უზრუნველყოფილი არ არის ისეთი დიდეფექტიან სახეობათა პროდუქციის წარმოების გეგმის შესრულება, როგორიცაა ნამზადის უწყვეტი მანქანა-მოწყობილობა, 8000 ცხენის ძალის სიმძლავრის ორსექციანი სატვირთო თბომავლები (სსრ კავშირის მძიმე მანქანათმშენებლობის სამინისტრო), ახალი სერიის ცვლადი დენის მანქანები (სსრ კავშირის ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტრო), ჰიდრავლიკური ამძრავის მქონე მუხლუხოვანი ერთციცხვიანი ექსკავატორები (სსრ კავშირის გზათა მშენებლობის მანქანათმშენებლობის სამინისტრო), ხაოიანი ქსოვილების გამოსამუშავებლად საჭირო ავტომატური პნევმორაპირული საფეიერო დაზგები (სსრ კავშირის მსუბუქი და კვების მრეწველობის მანქანათმშენებლობის სამინისტრო).

დამყნებულია ჩამორჩენა ეფექტიანი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის — კ-700 და ტ-150 ტრაქტორებთან შესაბამო ცალკეულ სახეობათა მანქანების, სამინდის ასაღები ტექნიკის (სსრ კავშირის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტრო), თვითმავალი და მისაბმელი საკვებისასაღები კომბაინების, თვითმავალი სათიბელა-სატყლეეფლების (სსრ კავშირის მეცხოველეობის მანქანათმშენებლობის სამინისტრო) გამოშვების საგეგმო დავალებათა შესრულებაში.

ქიმიურ-სატყეო კომპლექსი

	წარმოებულია 1986 წელს	წლიური გეგმის შესრულების პროცენტი	1986 წელი პროცენტებით 1985 წელთან შედარებით
მინერალური სასუქები (მასაზრდოებელ ნივთიერებათა 100 პროცენტზე გადაანგარიშებით), მილიონი ტონა	34,7	98	105
მცენარეთა დაცვის ქიმიური საშუალებები (მოქმედი ნივთიერების მიხედვით, 100 პროცენტზე გადაანგარიშებით) ათასი ტონა	332	100,6	96
გოგირდმჟავა, მილიონი ტონა	27,9	101	107
კაუსტიკური სოდა, მილიონი ტონა	3,2	98	106
ქიმიური ბოჭკო და ძაფი, მილიონი ტონა	1,5	100,6	106
სინთეზური ფისები და პლასტიკური მასები, მილიონი ტონა	5,3	97	106
ავტომობილების, ავტობუსების, სასოფლო-სამეურნეო მანქანების, მოტოციკლებისა და მოტოროლერების სალტეები, მილიონი ცალი	66,0	100,1	101
სინთეზური მრეცხავი საშუალებები, მილიონი ტონა	1,2	101	104
სამასალე მერქანი კოლმეურნეობათა მიერ ხე-ტყის დამზადების გარეშე, მილიონი ფესტმეტრი	296	98	107
ქაღალდი, მილიონი ტონა	6,2	102	103
აქედან გაზეთისა, მილიონი ქვადრატული მეტრი	34,5	101	104

გაიზარდა სინთეზური ბოჭკოსა და ძაფის, პროგრესული საკონსტრუქციო პლასტიკური მასალების, რადიალური კონსტრუქციის სალტეების გამოშვება. ცალკეულ სახეობათა ქაღალდის მასალატევადობის შემცირებამ შესაძლებელი გახადა მილიონ კუბურ მეტრზე მეტი ხე-ტყის ნედლეულის დაზოგვა.

მაგრამ სსრ კავშირის სასუქების წარმოების სამინისტროს, სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის ხე-ტყისა, ცელულოზა ქაღალდისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს გაერთიანებები და საწარმოები მნიშვნელოვნად ჩამორჩნენ შარშან სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულებაში. ეს დაკავშირებულია უწინარეს ყოვლისა მინერალური სასუქების, კაუსტიკური და კალცინირებული სოდის, სინთეზური ფისებისა და პლასტიკური მასების წარმოების გეგმის შეუსრულებლობასთან. სსრ კავშირის ხე-ტყისა, ცელულოზა ქაღალდისა, ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროში დაშვებულია დავალიანება ხე-ტყის დახერხვისა და ხე-ტყის გადამუშავების ძირითადი პროდუქტების გამომუშავებაში, განსაკუთრებით გაიზარდა იგი მეოთხე კვარტალში დახერხილი ხე-ტყის, სამასალე მერქნის წარმოების მიხედვით.

ვერ შეასრულეს მთელ რიგ სახეობათა პროგრესული დიდეფექტიანი პროდუქციის — თერმოპლასტებისაგან მილებისა და მილსადენების დეტალების, პოლისტიროლის, პოლივინილქლორიდის ფისის, პოლიპროპილენის, პოლიეთილენის, ცემენტ-ბურბუშელის ფილების, აცეტატური და ვისკოზური ცელულოზის წარმოების გეგმა.

სამშენებლო კომპლექსის მრეწველობა

	წარმოებულია 1986 წელს	წლიური გეგმის შესრულების პროცენტი	1986 წელი პროცენტებით 1985 წელთან შედარებით
ცემენტი, მილიონი ტონა	135	100,3	103
ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციები და ნაწარმი, მილიონი კუბური მეტრი	141	100,1	104

გეგმის გადაჭარბებით აწარმოეს 0,4 მილიონი ტონა ცემენტი. ცემენტის წარმოება ენერგოდამზოგავი ტექნოლოგიებით გაიზარდა 13 პროცენტით.

სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება

	წარმოებულია 1986 წელს	წლიური გეგმის შესრულების პროცენტი	1986 წელი 1985 წელთან შედარებით
ყველა სახეობის ქსოვილი, მილიარდი კვადრატული მეტრი	12,3	100,3	102
შეკერილი ნაწარმი, მილიარდი მანეთისა	26,1	99	100,1
ტრიკოტაჟის საცვალი და ზედა ტრიკოტაჟი, მილიარდი ცალი	1,8	100,2	103
ფეხსაცმელი, მილიონი წყვილი	801	99,9	102
კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სამეურნეო დანიშნულების საქონელი, მილიარდი მანეთისა	59,4	100	106
საათი, მილიონი ცალი	69,9	99,9	104
ფაიფურ-ქაშანურისა და მაიოლიკის ჭურჭელი, მილიონი მანეთისა	945	99,2	102
სორტული ჭურჭელი (მინისა და ბროლის), მილიარდი მანეთისა	1,1	105	92
რადიომიმღები მოწყობილობა, მილიონი ცალი	8,9	100,2	101
ტელევიზორები, მილიონი ცალი	9,4	99	100,7
მათ შორის ფერადგამოსახულებიანი	4,4	96	109
მაცივრები და საყინავები, მილიონი ცალი	5,9	99,6	101
სარეცხი მანქანები, მილიონი ცალი	5,4	99,5	106
ელექტრომტვერსასრუტები, მილიონი ცალი	4,3	100,5	105
ავეჯი, მილიარდი მანეთისა	8,3	102	105
მსუბუქი ავტომობილები, მილიონი ცალი	1,3	100,9	99,5
მოტოციკლები და მოტოროლერები, მილიონი ცალი	1,1	100,1	98
ველოსიპედები, მილიონი ცალი	5,5	100,7	102
საყოფაცხოვრებო ქიმიის საქონელი, მილიარდი მანეთისა	3,8	103	108

1986 წელს გამოშვებულია 313 მილიარდი მანეთის სახალხო მოხმარების საქონელი. 1985 წელთან შედარებით საქონლის წარმოება გაიზარდა 6 პროცენტით.

გადაჭარბებით შესრულდა სახალხო მოხმარების მეტი წილი საქონლის, კერძოდ, ქსოვილების, ტრიკოტაჟის ნაწარმის, რადიომიმღები მოწყობილობის, ავეჯის გამოშვების საგეგმო დავალებანი.

ამავე დროს არ შესრულებულა შეკერილი ნაწარმის, ჭრომის ფეხსაცმლის, სპორტული და ტურისტული დანიშნულების მთელი რიგი საქონლის, საბავშვო და ახალგაზრდული ასორტიმენტის ნაწარმის გამოშვების გეგმები, საკმარისად არ არის გამოშვებული საქონელი ხანდაზმული ადამიანებისათვის. ჩამორჩენა დაუშვეს მთელი რიგი თანამედროვე საქონლის, კერძოდ ორ- და სამკამერიანი მაცივრების, ავტომატური სარეცხი მანქანების წარმოების განვითარებაში (მსუბუქი და კვების მანქ

ᲩᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘᲡ — ᲩᲐᲠᲘᲡᲩᲘ ᲓᲐ ᲭᲔᲛᲞᲘ

(დასასრული)

ფრინველის პროდუქტიულობის გადიდების ხარჯზე. ერთ ძროხაზე რძის საშუალო ნაწველი გაიზარდა 151 კილოგრამით, ანუ 6 პროცენტით. მიღებულია მეტი ნამატი, გაუმჯობესდა სულადობის შენახვა.

პროდუქტიული პირუტყვის **სულადობამ** ყველა კატეგორიის მეურნეობებში შეადგინა (მილიონი სული):

	1 იანვრისათვის 1986 წ.	1987 წ.
მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი	120,9	121,9
მათ შორის ძროხა	42,9	42,5
ღორი	77,8	80,2
ცხვარი და თხა	147,9	148,0

კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ჯერ კიდევ მნიშვნელოვან ზარალს განიცდიან პირუტყვის დიდი გაწყდომის გამო. 1986 წელს მარტო რუსეთის ფედერაციის მეურნეობებში გაწყდა 1,8 მილიონი სული, ანუ ჯოგის ბრუნვის 2,7 პროცენტი მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, 4,3 მილიონი სული, ანუ 6,2 პროცენტი ღორი, 4,9 მილიონი სული, ანუ 7,4 პროცენტი ცხვარი და თხა; ამ სახეობათა პირუტყვის დანაკარგებმა რესპუბლიკაში მილიონ ტონაზე მეტი ცოცხალი წონა შეადგინა. პირუტყვის სიკვდილიანობის დიდი პროცენტია მოლდავეთის, ლატვიის, ყირგიზეთისა და უკრაინის სს რესპუბლიკებში.

დიდხანს ჰიპნურდება საპროექტო სიმძლავრეთა ათვისება მეცხოველეობის კომპლექსებში. განსაკუთრებით დაბალია მათი ათვისების დონე აზერბაიჯანის, საქართველოს, უკრაინის სს რესპუბლიკების სარძევე კომპლექსებში, თურქმენეთის, ყირგიზეთის სს რესპუბლიკების მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის გამოსაზრდელ და სასუქებელ კომპლექსებში.

ყველა კატეგორიის მეურნეობაში მეცხოველეობის პროდუქტების **სახელმწიფო შესყიდვის** ახასიათებს შემდეგი მონაცემები:

	1986 წელი	წლიური გეგმის შესრულების პროცენტი	1986 წელი პროცენტებით 1985 წელთან შედარებით
პირუტყვი და ფრინველი, (ცოცხალი წონა), მილიონი ტონა	20,0	106	106
რძე, მილიონი ტონა	71,8	106	105
კვერცხი, მილიარდი ცალი	53,6	109	106
მატყლი (წმინდა ბოკკოზე გადაყვანით), ათასი ტონა	242,3	104	104

ნულა ვითარდება პირუტყვისა და რძის მიღება დამამზადებელი ორგანიზაციების მიერ უშუალოდ წარმოების ადგილებში.

ᲙᲕᲔᲑᲘᲡ ᲛᲠᲔᲦᲕᲔᲚᲝᲑᲐ

უმნიშვნელოვანეს სახეობათა კვების პროდუქციის წარმოებამ შეადგინა:

	წარმოებულია 1986 წელს	წლიური გეგმის შესრულების პროცენტი	1986 წელი პროცენტებით 1985 წელთან შედარებით
ხორცი (სამრეწველო გამომუშავება) მილიონი ტონა	11,5	103	107
ძეხვეული, მილიონი ტონა	3,5	103	104
სასურსათო თევზეული, მათ შორის თევზის კონსერვები, მილიონი ტონა	5,6	106	101
ერბო-კარაქი, მილიონი ტონა	1,6	106	106
ცხიმიანი ყველი ათასი ტონა	844	100,2	104
მოუხდელი რძის პროდუქცია რძეზე გადაანგარიშებით, მილიონი ტონა	31	105	105
მარგარინის პროდუქცია, მილიონი ტონა	1,5	100,2	103
ფხვნილი შაქარი, მილიონი ტონა	12,7	91	108
მცენარეული ზეთი, მილიონი ტონა	2,9	96	114
საკონდიტრო ნაწარმი, მილიონი ტონა	4,4	101	104
ნატურალური ჩაი, ათასი ტონა	258	99,2	99,7
კონსერვი, მილიარდი პირობითი ქილა	19,7	105	110
მათ შორის ხილის წვენი	4,0	137	147
მინერალური წყლები, მილიონი დეკალიტრი	148	100,7	114
უალკოჰოლო სასმელები, მილიონი დეკალიტრი	497	87	130

ლქმოო-არყისა და ღვინის წარმოება შემცირდა 35 პროცენტით.

ვერ შესრულდა მთელი რიგი პროდუქტების, მათ შორის მცენარეული ზეთის, ფხვნილი შაქრის, უალკოჰოლო სასმელებისა და ჩაის წარმოების გეგმა. პროდუქტების ხარისხი ყოველთვის ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის მოთხოვნას.

ᲐᲒᲠᲝᲡᲐᲛᲠᲔᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝ ᲙᲝᲛᲞᲚᲔᲥᲡᲘᲡ ᲛᲐᲢᲔᲠᲘᲐᲚᲣᲠ-ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲑᲐᲖᲐ

სოფლის მეურნეობამ მიიღო მნიშვნელოვანი რაოდენობის ტექნიკა და მინერალური სასუქები.

სსრ კავშირის სასურსათო პროგრამის შესრულების უზრუნველმყოფი დარგების განვითარებისათვის კაპიტალდაბანდებებმა 62 მილიარდ მანეთს გადააჭარბა. ამ სახსრებიდან 49,6 მილიარდი მანეთი გამოყენებულია სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის, აქედან სამელიორაციო მშენებლობისათვის — 9,4 მილიარდი მანეთი.

სოფლის მეურნეობაში აშენებულია მეცხოველეობის სადგომები, მექანიზებული ფერმები და კომპლექსები 5,8 მილიონი სული პირუტყვის, 8,8 მილიონი ფრთა ფრინველის შესანახად, წელიწადში 50 მილიონი ფრთა სახორცე ფრინველისათვის გათვალისწინებული მეფრინველეობის ფაბრიკები და სხვა ობიექტები.

საექსპლოატაციოდ გადაცემულია 1,3 მილიონი ჰექტარი სარწყავი და დაშრობილი მიწა.

ამოქმედდა ხორცის, ყველის, მოუხდელი რძის პროდუქციის, ფხვნილი შაქრის, საკონდიტრო ნაწარმის, ხილბოსტნეულის კონსერვების საწარმოო სიმძლავრეები, კარტოფილის, ბოსტნეულისა და ხილის საცავები.

ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐ

1986 წელს 1985 წელთან შედარებით ამოქმედდა 11,1 მილიარდი მანეთით მეტი ღირებულების **ძირითადი ფონდები.** დაფინანსების ყველა წყაროს ხარჯზე ათვისებულია 193 მილიარდი მანეთი **კაპიტალდაბანდებანი.**

სახელმწიფო სახსრების ხარჯზე ძირითადი ფონდების ამოქმედების გეგმის შესრულებას, ზრდის ტემპს **კომპლექსებისა და სამინისტროების** მიხედვით ახასიათებს შემდეგი მონაცემები:

	ძირითადი ფონდების ამოქმედება: წლიური გეგმის შესრულების პროცენტი	1986 წელი პროცენტებით 1985 წელთან შედარებით
სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსი	87	103
სსრ კავშირის ენერგეტიკის სამინისტრო	79	86
სსრ კავშირის ატომური ენერგეტიკის სამინისტრო	65	94
სსრ კავშირის ნავთობის მრეწველობის სამინისტრო	87	104
სსრ კავშირის გაზის მრეწველობის სამინისტრო	100,1	106
სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტრო	92	111
სსრ კავშირის ნავთობისა და გაზის მრეწველობის საწარმოთა მშენებლობის სამინისტრო	101	154
მეტალურგიული კომპლექსი	83	111
სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტრო	82	107
სსრ კავშირის ფერადი მეტალურგიის სამინისტრო	84	114
მანქანათაშენებელი კომპლექსი	77	105
სსრ კავშირის ენერგეტიკის მანქანათმშენებლობის სამინისტრო	68	82
სსრ კავშირის მძიმე მანქანათმშენებლობის სამინისტრო	77	103
სსრ კავშირის ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტრო	71	99,6
სსრ კავშირის ქიმიური მანქანათმშენებლობის სამინისტრო	67	100,3
სსრ კავშირის ჩარხსაშენებელი მრეწველობის სამინისტრო	81	118
სსრ კავშირის ხელსაწყოთმშენებლობის სამინისტრო	92	136
საავტომობილო მრეწველობის სამინისტრო	87	110
სსრ კავშირის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტრო	73	109
სსრ კავშირის მეცხოველეობის მანქანათმშენებლობის სამინისტრო	60	71
სსრ კავშირის საგზაო მანქანათმშენებლობის სამინისტრო	86	117
სსრ კავშირის მსუბუქი და კვების მრეწველობის მანქანათმშენებლობის სამინისტრო	73	101
ქიმიურ-ხატვეო კომპლექსი	72	102
სსრ კავშირის ნავთობქიმიური მრეწველობის სამინისტრო	78	109
სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის სამინისტრო	62	108
სსრ კავშირის სასუქების წარმოების სამინისტრო	66	89
სსრ კავშირის სამედიცინო და ბიოლოგიური მრეწველობის სამინისტრო	68	89
სსრ კავშირის ხე-ტყის, ცელულოზა-ქაღალდისა და ხისდამუშავებელი მრეწველობის სამინისტრო	85	107
აგროსამრეწველო კომპლექსი	94	108
სსრ კავშირის სახაგრომრეწვი	96	109
სსრ კავშირის თევზის მეურნეობის სამინისტრო	88	99,1
სსრ კავშირის პურპროდუქტების სამინისტრო	90	96
სსრ კავშირის წყალთა მეურნეობის სამინისტრო	90	108
სამშენებლო კომპლექსი	87	119
სსრ კავშირის ჩრდილოეთისა და დასავლეთის რაიონების მშენებლობის სამინისტრო	80	109
სსრ კავშირის სამხრეთ რაიონების მშენებლობის სამინისტრო	99	123
სსრ კავშირის ურალისა და ციმბირის რაიონების მშენებლობის სამინისტრო	90	126
სსრ კავშირის აღმოსავლეთის რაიონების მშენებლობის სამინისტრო	72	95
სსრ კავშირის მონტაჟსპეცმშენის სამინისტრო	99	137
სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტრო	95	154
მოკავშირე რესპუბლიკების მშენებლობის სამინისტროები	89	111
სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო	78	103
სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო	80	91

ამოქმედდა პირველი ტურბინა პერმის სახელმწიფო რაიონულ ელექტროსადგურში, ახალი ტურბინები კალინინის, ზაპოროჟიეს, როვნოს ატომურ ელექტროსადგურებში, მთელ რიგ ჰიდროელექტროსადგურებში; ნედლეულის კატალიზური რიფორმების სიმძლავრეები მოსკოვის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში, ქვანახშირის მოპოვებისა — პავლოდარის ოლქის ჩრდილ „ვოსტორნაიაში“, კრასნოიარსკის მხარის ჩრდილ „ბერეზოვსკაში“, კემეროვოს ოლქის ჩრდილ „ტალდინსკაში“. იამბურგელეცის მაგნიტრალური გაზსადენის 3,6 ათასი კილომეტრი საერთო სიგრძის მთელი რიგი უბნები (I და II ხაზები).

ამოქმედდა რკინის მადნის მოპოვების დიდი სიმძლავრეები კუსტანაის ოლქის კარარის სამთო-მამდიდრებელ კომბინატში, შავი ლითონების ნაგლინის საწარმოო სიმძლავრეები — ბელგოროროდის ოლქის ოსკოლის ელექტრომეტალურგიულ კომბინატში, კოქსისა — ნიჟნი ტაგილისა და მაგნიტოგორსკის მეტალურგიულ კომბინატებში და სხვა.

ამუშავდა სინთეზური ამიაკის საწარმოო სიმძლავრეები საწარმოო გაერთიანება „ტოლიატაზოტში“, სინთეზური ფისებისა და პლასტიკური მასების — ტომსკის ქიმიურ ქარხანაში, საავტომობილო საბურავებისა — საწარმოო გაერთიანება „ნიჟნეკამსკსინთეზში“, აგრეთვე დაბერხილი მასალების, ხის ბუბრბუშელისა და ხის ბოკკოს ფილების, ქაღალდისა.

ამოქმედდა ცემენტის საწარმოო სიმძლავრეები ბრიანსკის ცემენტის ქარხანაში, შიფერისა — დუშანბის აზბესტცემენტის ნაწარმის კომბინატში, კერამიკული მოსაპირკეთებელი ფილებისა — ხარკოვის ფილების ქარხანაში.

გასულ წელს საინვესტიციო პროცესში ძირეული ცვლილებები არ მომხდარა. არ არის დაძლეული კაპიტალდაბანდებათა დაქსაქსვა, ვერ შესრულდა ძირითადი ფონდების, ბევრი სახეობის დიდმნიშვნელოვანი საწარმოო სიმძლავრეების ამოქმედების გეგმები. ვერ უზრუნველყვეს საექსპლოატაციოდ სსრ კავშირის ენერგეტიკის სამინისტროს, სსრ კავშირის ნავთობის მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის გაზის მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის ფერადი მეტალურგიის სამინისტროს, სსრ კავშირის სახაგრომრეწვის, სსრ კავშირის პურპროდუქტების სამინისტროს, სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს ობიექტების მნიშვნელოვანი რაოდენობის გადაკიდვა.

ნელა მატულობს სამეურნეო წესით შესრულებულ სამუშაოთა მოცულობა, განსაკუთრებით დაბალია მისი ხვედრითი წილი სსრ კავშირის ნავთობქიმიური მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტროს, სსრ კავშირის ენერგეტიკის მანქანათმშენებლობის სამინისტროს, სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის სასუქების წარმოების სამინისტროს, სსრ კავშირის მეცხოველეობის მანქანათმშენებლობის სამინისტროს, სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტროს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა საერთო მოცულობაში.

საიჯარო სამუშაოთა მოცულობა, რომელიც სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციებმა შეასრულეს, გაიზარდა 6 პროცენტით, შრომის ნაყოფიერებისა — გეგმით გათვალისწინებული 3,5 პროცენტის ნაცვლად 4,3 პროცენტით. შრომის ნაყოფიერების ზრდა უსწრებდა საშუალო ხელფასის ზრდას.

საიჯარო სამუშაოთა მოცულობა სამშენებლო კომპლექსის სამინისტროების ხაზით გაიზარდა 6 პროცენტით, შრომის ნაყოფიერება — 4,6 პროცენტით. საიჯარო სამუშაოთა გეგმა შესრულდა 99,4 პროცენტით. წარმატებით შეასრულეს გეგმა სსრ კავშირის მონტაჟსპეცმშენის სამინისტროს, სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს, აგრეთვე ბელორუსის სსრ, უკრაინის სსრ, ლიტვის სსრ, ლატვიის სსრ და ესტონეთის სსრ მშენებლობის სამინისტროებმა. გეგმა ვერ შეასრულეს სსრ კავშირის ჩრდილოეთისა და დასავლეთის რაიონების მშენებლობის სამინისტრომ, სსრ კავშირის სამხრეთი რაიონების მშენებლობის სამინისტრომ, სსრ კავშირის ურალისა და ციმბირის რაიონების მშენებლობის სამინისტრომ, სსრ კავშირის აღმოსავლეთის რაიონების მშენებლობის სამინისტრომ, უკრაინის სსრ, უზბეკეთის სსრ, საქართველოს სსრ, აზერბაიჯანის სსრ, მოლდავეთის სსრ, ყირგიზეთის სსრ, ტაჯიკეთის სსრ, სომხეთის სსრ და თურქმენეთის სსრ მშენებლობის სამინისტროებმა.

მშენებლობაში დაიწყო საიჯარო ორგანიზაციების საქმიანობის იმ სამუშაოთა მოცულობის გათვალისწინებით შეფასებაზე გადასვლა, რომლებიც სრულდება ასამოქმედებელ ობიექტებზე და საუშაოთა ტექნოლოგიური ეტაპებისა და კომპლექსების მიხედვით — სხვა ობიექტებზე. 400-ზე მეტი სამშენებლო ორგანიზაცია მუშაობს კოლექტიური იჯარის პირობებში.

ᲢᲠᲐᲜᲡ�პᲝᲠᲢᲘ ᲓᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲒᲐᲑᲑᲛᲣᲚᲝᲑᲐ

ᲪᲐᲚᲙᲔᲣᲚ სახეობათა ტრანსპორტის ტვირთზიდვასა და მგზავრთბრუნვას ახასიათებს შემდეგი მონაცემები:

	შესრულდა 1986 წელს	წლიური გეგმის შესრულების პროცენტი	1986 წელი პროცენტებით 1985 წელთან შედარებით
ტვირთზიდვა (გაგზავნა), მილიონი ტონა			
რკინიგზის ტრანსპორტი	4061	102	103
საზღვაო ტრანსპორტი	249	105	104
მათ შორის საკაბოტაჟო ნაოსნობაში	85,6	107	101
საერთო სარგებლობის სამდინარო ტრანსპორტი	649	104	103
საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტი	6648	102	105
ნავთობ და ნავთობპროდუქტსადენები	653	100,3	104
მგზავრთბრუნვა, მილიარდი მგზავრკილომეტრი			
რკინიგზის ტრანსპორტი	390	104	104
საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტი (ავტობუსები)	463	102	104
საჰაერო ტრანსპორტი	196	102	104

ყველა სახეობის ტრანსპორტის ტვირთბრუნვა გაიზარდა 4,8 პროცენტით.

რკინიგზის ტრანსპორტმა ვადამდე შეასრულა ტვირთის გაგზავნის საერთო გეგმა. ვაგონის ბრუნვა დაჩქარდა 4 პროცენტით, ლოკომოტივის საშუალო სადღეღამისო მწარმოებლობა გაიზარდა 3 პროცენტით, ვაგონისა — 4 პროცენტით.

რკინიგზების ელექტრიფიცირებული ხაზების სიგრძე გაიზარდა 2,1 ათასი კილომეტრით, ანუ 4 პროცენტით.

შრომის ნაყოფიერება გადიდდა 7,5 პროცენტით გეგმით გათვალისწინებული 2,1 პროცენტის ნაცვლად; ამ გზით მიღებულია ტვირთზიდვის მოცულობის მთელი მატება. გადაჭარბებით შესრულდა ტვირთზიდვის თვითღირებულების შემცირების დავალება.

ვერ შესრულდა ხე-ტყისა და ცეცხლგამძლე მასალების გადაზიდვის დავალება.

მთელმა რიგმა რკინიგზებმა მთლიანად ვერ შეასრულეს უმნიშვნელოვანესი ტვირთის გაგზავნის გეგმები: ქვანახშირისა— კუიბიშევის, შორეული აღმოსავლეთის, ოდესის რკინიგზებმა; ნავთობისა და ნავთობპროდუქტებისა — ამიერკავკასიის, იმიერბაიკალის, დასავლეთ-ციმბირის, ყაზარის, სამხრეთ-დასავლეთის რკინიგზებმა; შავი ლითონებისა — ოქტომბრის, ჩრდილოეთ-კავკასიის, მოსკოვის რკინიგზებმა; ხე-ტყისა — გორკის, ჩრდილოეთის, ჩრდილოეთ-კავკასიის რკინიგზებმა; მინერალური სასუქებისა — ამიერკავკასიის, ოდესის, სვერდლოვსკის, ალმა-ათისა და სხვა რკინიგზებმა.

საზღვაო ტრანსპორტმა საზღვარგარეთ ნაოსნობაში გადაზიდა 0,3 პროცენტით მეტი ტვირთი გეგმასთან შედარებით და 3 პროცენტით მეტი, ვიდრე 1985 წელს.

სამდინარო ტრანსპორტმა გაანაღდა მგზავრთა გადაყვანისა და მგზავრთბრუნვის დავალებანი. გადაზიდეს გეგმასთან შედარებით ნაკლები ქვანახშირი, რკინისა და მანგანუმის მადნი, ცემენტი, ცეცხლგამძლე მასალები, შავი ლითონები, მარცვლეული და ნაფქვავი პროდუქტები.

არ შესრულებულა პირდაპირი შერეული სარკინიგზო-სამდინარო გზებით ტვირთის გაგზავნის გეგმა.

საჰაერო ტრანსპორტმა ვადამდე შეასრულა ავიატვირთზიდვის, მგზავრების გადაყვანის, ტვირთისა და ფოსტის გადაზიდვის საერთო მოცულობის დავალება. გადაყვანილია 116 მილიონზე მეტი კაცი.

საავტომობილო ტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანა გაიზარდა 4 პროცენტით. ავტობუსებით გადაყვანილია 48,8 მილიარდი კაცი.

კვლავ დიდია გამართული სატვირთო ავტომობილების ცარიელი გარბენები და მოცდენა, ნელა მცირდება ავტომობილების მოცდენა რემონტისა და მისი მოლოდინის დროს.

სსრ კავშირის გაზის მრეწველობის სამინისტროს **გაზსადენებმა** მიაწოდეს მომხმარებელს 2 პროცენტით მეტი სასაქონლო გაზი, ვიდრე დავალებით იყო გათვალისწინებული.

ცალკეული სახეობის ტრანსპორტით მთელი რიგი ტვირთის გადაზიდვაზე სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებანი სრულად არ იყო უზრუნველყოფილი. კვლავ ნაკლოვანებანია მოსახლეობის მომსახურებაში. ირღვევა მატარებლების, თვითმფრინავების, ავტობუსების მოძრაობის განრიგი; გასაუმჯობესებელია სატრანსპორტო მომსახურების ხარისხი.

კავშირგაბმულობის საწარმოებმა შეასრულეს ძირითადი საქმიანობისაგან შემოსავლის გეგმა; 1985 წელთან შედარებით კავშირგაბმულობის მომსახურების მოცულობა 5 პროცენტით გაიზარდა.

IV. ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲝᲜᲘᲡ ᲐᲛᲐᲦᲚᲔᲑᲐ

ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡ ზრდის საფუძველზე ხორციელდება სოციალური განვითარებისა და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების პროგრამა, რომელიც მიიღო სკკპ XXVII ყრილობამ.

მოხმარებისა და დაგროვებისათვის გამოყენებული **ეროვნული შემოსავალი** 3,6 პროცენტით გაიზარდა.

ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲐᲜᲐᲖᲦᲐᲣᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲝᲛᲡᲐᲕᲐᲚᲘ

სახალხო მეურნეობაში მუშა-მოსამსახურეთა საშუალო თვიურმა ფულადმა ხელფასმა შეადგინა 195 მანეთი 1985 წლის 190 მანეთთან შედარებით. კოლმეურნეთა შრომის საშუალო თვიური ანაზღაურება 153 მანეთიდან 159 მანეთამდე გაიზარდა. გადიდდა მოსახლეობის რეალური შემოსავალი.

ქვეყნის ყველა რაიონში დამთავრდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, საშუალო სპეციალური და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მასწავლებლების, საწარმოო სწავლების ოსტატების, ხელმძღვანელებისა და სხვა პედაგოგიური მუშაკების ხელფასის განაკვეთებისა და თანამდებობრივი სარგოების გადიდება. აღნიშნული ღონისძიების განხორციელების შედეგად მასწავლებელთა ხელფასი 30 და მეტი პროცენტით გადიდდა.

დაიწყო ექიმებისა და ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სხვა მუშაკების ხელფასების გადიდება.

ძირითადად დამთავრდა შრომის ანაზღაურების ახალ პირობებზე მრეწველობის, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიისა და მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიების სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების, საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიური ორგანიზაციების მეცნიერ მუშაკთა, კონსტრუქტორთა და ტექნოლოგთა შრომის ანაზღაურების ახალ პირობებზე გადაყვანა. ხელფასის დანამატი მიიღო აგრეთვე მრეწველობის პეკრმა კონსტრუქტორმა და ტექნოლოგმა. სატარიფო განაკვეთები გაუზარდეს მსუბუქი მრეწველობის ცალკეული პროფესიების მუშებს. დადგენდა ჯილდო ნამსახურობისათვის და გაიზარდა სართი ღამით მუშაობისათვის საკერავლო, ფეხსაცმლის, ტყავისა და მარილის მრეწველობაში. აღნიშნულ ღონისძიებათა რეალიზაცია ხორციელდება შრომითი კოლექტივების მიერ გამომუშავებული სახსრების ხარჯზე.

მოსახლეობამ მოხმარების საზოგადოებრივი ფონდებიდან მიიღო 153 მილიარდი მანეთის მისაცემლები და შეღავათები, ანუ 6 მილიარდი მანეთით მეტი, ვიდრე 1985 წელს. ამ მისაცემლებისა და შეღავათების გათვალისწინებით მუშა-მოსამსახურეთა ხელფასმა შეადგინა 277 მანეთი, კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობისაგან კოლმეურნეთა შემოსავალმა შეადგინა თვეში 231 მანეთი. გაიზარდა ვადიანი სამსახურის სამხედრო მოსამსახურეთა ბავშვებისათვის სახელმწიფო ყოველთვიური დახმარება, სოფლად მცხოვრებ და სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებულ პენსიონერებს გაუდიდდათ პენსიები. განხორციელდა მოხმარების საზოგადოებრივი ფონდებიდან მოსახლეობისათვის მისაცემლებისა და შეღავათების გადიდების სხვა ღონისძიებანი. იფარებოდა სახელმწიფო საშინაო სესხთა ობლიგაციები.

ᲡᲐᲥᲝᲜᲚᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲗᲘ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲐ

ხორციელდება მუშაობა სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისა და მომსახურების სფეროს განვითარების კომპლექსური პროგრამის რეალიზაციისათვის.

მოსახლეობის მიერ მატერიალური დოვლათისა და მომსახურების მოხმარება 5,5 პროცენტით გაიზარდა წინა წელთან შედარებით.

სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვამ შეადგინა 331,9 მილიარდი მანეთი და 1985 წელთან შედარებით შესადარი ფასებით, გაიზარდა 19,5 მილიარდი მანეთით.

ალკოჰოლიანი სასმელების რეალიზაციის გაუთვალისწინებლად საცალო საქონელბრუნვის გეგმა მთლიანად ქვეყანაში შესრულდა. ვერ შეასრულეს გეგმა საქართველოს სსრ, აზერბაიჯანის სს, სომხეთის სს და თურქმენეთის სს რესპუბლიკებმა.

სახალხო მოხმარების საქონლის გაყიდვა გაიზარდა 7,1 პროცენტით.

დადებითი ცვლილებები მოხდა საცალო საქონელბრუნვის სტრუქტურაში.

ალკოჰოლიანი სასმელების რეალიზაციის მესამედით და მეტად შემცირების შედეგად არსებითად შემცირდა მათი წილიც საქონელბრუნვის საერთო მოცულობაში, კვების პროდუქტებისა და არასასურსათო საქონლის ხვედრითი წილი კი გაიზარდა.

სახელმწიფო და კოოპერაციულ ვაჭრობაში ცალკეული საქონლის გაყიდვის ზრდას ახასიათებს შემდეგი მონაცემები:

	1986 წელი პროცენტებით 1985 წელთან შედარებით
პურპროდუქტები	100
ხორცი და ხორცის პროდუქტები	104
თევზი და თევზეული	105
ერბო-კარაქი	103
მცენარეული ზეთი	108
მარგარინის პროდუქცია	103
მოუხდელი რძის პროდუქცია	106
ყველი	105
კვერცხი	104
შაქარი	110
საკონდიტრო ნაწარმი	106
ჩაი	112
კარტოფილი	107
ბოსტნეული	108
ხილი და ციტრუსი	120
უალკოჰოლო სასმელები	127
მინერალური წყლები	122
ხილისა და ბოსტნეულის წვენები	143
ალკოჰოლიანი სასმელები	63
თამბაქოს ნაწარმი	105
ტანსაცმელი, საცვლები და ქსოვილები	103
ტრიკოტაჟის ნაწარმი	107
წინდები	110
ფეხსაცმელი	107

	1986 წელი პროცენტებით 1985 წელთან შედარებით
ფაიფურ-ქაშანურის, მაიოლიკისა და მინის ჭურჭელი	100
საპონი და სინთეზური მრეცხავი საშუალებები	107
ავეჯი	104
მაცივრები და საყინაველები	108
მათ შორის 200 კუბური დეციმეტრი და მეტი ტევადობის კამერის ჭმონები	113
სარეცხი მანქანები	107
ელექტრომტვერსასრუტები	105
საათები	98
ფოტოაპარატები	99
რადიომიმღები მოწყობილობა	98
ტელევიზორები	107
მათ შორის ფერადი	
გამოსახულებისა	112
მაგნიტოფონები	111
ველოსიპედები და მოპედები	105
მოტოციკლები და მოტოროლერები	112
მსუბუქი ავტომობილები	94
ხე-ტყის მასალა	128
შიფერი	108
საბურავი ფურცოვანი ფოლადი და სხვა ლითონპროდუქცია	127

რამდენადმე გაუმჯობესდა მოსახლეობის უზრუნველყოფა ბოსტნეულით და ხილით. გაფართოვდა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიერ აღნიშნული პროდუქციის გაყიდვა ქალაქების ბაზრებზე სახელმწიფო შესყიდვის საგეგმო ფოცულობის 30 პროცენტის ანგარიშში. მოსკოვის, კიევის, ალმა-ათის, რიგის, კიშინიოვის, დუშანბეს, აშხაბადის, ვლადივოსტოკის, ტულის, სმოლენსკის ბაზრებში კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიერ ხილისა და ბოსტნეულის გაყიდვის მოცულობამ შეადგინა საკოლმეურნეო ბაზარზე მათი საერთო რეალიზაციის 20-დან 65 პროცენტამდე. ამასთან ერთად ბევრ ქალაქში და კერძოდ, ლენინგრადში, გორკში, ერევანში, ვილნიუსში, ორიოლში, იაროსლავლში, ხაბაროვსკში, ამურის კომსომოლსკსა და სხვებში პროდუქციის რეალიზაციის ეს ფორმა ჯერთნად არ განვითარებულა. მაღაზიებისათვის შიწოდებული ხილ-ბოსტნეულის ხარისხი ბევრ შემთხვევაში არ შეესაბამება მყიდველთა მოთხოვნებს. 1986 წელს ვაჭრობამ მიიღო 14 პროცენტი უსტანდარტო და წუნიანი კარტოფილი, 17 პროცენტი — კომბოსტო, 25 პროცენტი — პამიდორი, 23 პროცენტი — ყურძენი.

არადამაკმაყოფილებლად ხდებოდა მოსახლეობის უზრუნველყოფა ადგილობრივი საშენი მასალით. მისი გაყიდვის დავალება შესრულდა მხოლოდ 45 პროცენტით, მათ შორის ყაზახეთის სსრ რესპუბლიკაში, რუსეთის ფედერაციისა და საქართველოს სს რესპუბლიკაში — 20-30 პროცენტით. ხე-ტყით და საშენი მასალით მოსახლეობის მომარაგებაში არის დიდი ნაკლოვანებანი. არადამაკმაყოფილებლად წყდება საშენი მასალის შეძენისა და ბეტონის, საცხოვრებლის, დამხმარე ნაგებობების მშენებლობისა და რემონტის, ბაღ-ბოსტნების მოწყობის საქმეში მოსახლეობის კომპლექსური მომსახურების საკითხები.

გრძელდებოდა მოსახლეობის სავაჭრო მომსახურების პროგრესული ფორმების დანერგვა. საქონლის დაახლოებით 60 პროცენტი გასაღდა მაღაზიებში თვითმომსახურების მეთოდით. ამასთან ერთად არ გაზრდილა ვაჭრობისათვის საქონლის დაფასოებული მიწოდება, რაც ამცირებს ამ მეთოდის დანერგვის ეფექტს.

საწარმოთა მუშა-მოსამსახურეები უზრუნველყოფილი არიან **სახადილებისა და ბუფეტების** ქსელით 88 პროცენტით, უმაღლესი სასწავლებლების მოსწავლეები — 65 პროცენტით, საშუალო სპეციალური სასწავლებლების მოსწავლეები — 71 პროცენტით ნორმატივთან შედარებით.

ხშირად ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის მოთხოვნილებას ისაზოგადოებრივი კვების საწარმოების პროდუქციის ხარისხი და მომსახურების დონე.

მოსახლეობას გაეწია თითქმის 50 მილიარდი მანეთის, სხვადასხვა სახის ფასიანი **მომსახურება,** რაც გეგმის 96,5 პროცენტს შეადგენს. დავალება შეასრულეს მხოლოდ ბელორუსიის, უკრაინის, ლიტვის, მოლდავეთის, ლატვიისა და ესტონეთის სს რესპუბლიკებმა. არ ჩანს სათანადო ინიციატივა მომსახურების გაფართოებისა და განვ

უკანასკნელი
ფაქტები • მოვლენები

ქალთა საზრუნავის ფორმულა

(დასასრული)

ნეობის მწველავი, ლ. გ. პერტაია — ომისა და შრომის, ვეტერანი, ქალაქ თბილისის გლდანის რაიონის ქალთა საბჭოს თავმჯდომარე, ი. ა. ნაცვლიშვილი — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი, შ. ჰ. კასუმოვა — პარტიის მარნეულის რაიკომის მდივანი, მ. გ. ბარათაშვილი — ჟურნალ „საქართველოს ქალის“ რედაქტორი.

პარტია, სახელმწიფო ყოველ ღონეს ხმარობენ ცხოვრების ყველა სფეროში მშრომელი ქალების აქტიურობის ზრდისათვის. გასული ხუთწლედის მანძილზე რესპუბლიკაში ქალთა შრომის შემსუბუქების მრავალი ღონისძიება განხორციელდა. 16 ათასზე მეტმა ქალმა შეიცვალა მძიმე ფიზიკური შრომა მექანიზმების მართვით, ღამის ცვლაში მუშაობისგან განთავისუფლდა ოთხი ათასზე მეტი ქალი, შემოკლებულ სამუშაო კვირასა და არასრულ სამუშაო დღეზე გადაყვანილია 12 ათასი ქალი.

მაგრამ ჯერ კიდევ შრომის მძიმე პირობებში უწევთ მუშაობა ქალებს, რომლებიც შრომობენ ხის დამამუშავებელ, მსუბუქ მრეწველობაში, აგროსამრეწველო კომპლექსში, სამშენებლო ინდუსტრიის საწარმოებში. ქალთა საბჭოების ყველგან შექმნამ და მათმა მზარდმა აქტიურობამ, აღნიშნეს ორატორებმა, ხელი უნდა შეიწყოს ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესებას უკლებლივ ყველა წარმოებაში.

აქტიური შრომითი და საზოგადოებრივი საქმიანობა შეუუბამოს მეუღლის, დედის, კერის დამცველის როლს — ეს მაღალი მოწოდებაც არის და ქალის ყველაზე დიდი პასუხისმგებლობაც. და ამიტომ უადრესად საჭიროა, რომ ქალთა საბჭოები დაეხმარონ მათ, შეემსუბუქონ საყოფაცხოვრებო, საოჯახო საზრუნავი, მხარი დაუჭერონ ოჯახს მძიმე წუთებში. ასეთი მუშაობის მაგალითს იძლევა თბილისის ლენინის რაიონი. სახალხო სასამართლოსთან და შრომითს კოლექტივებთან მჭიდრო კონტაქტით აქ გადაწყვიტეს დელიკატური ჩარეულიყვნენ არეული ოჯახების საქმეებში. მარტო ნახევარი წლის მანძილზე მეუღლეთა 205 წყვილიდან განქორწინებას გადაარჩინეს 144 წყვილი. ოჯახზე საზოგადოებრივი ფორმირებების, ქალთა საბჭოების გაგენების ახალ ფორმებს წარმატებით ეძებენ ზესტაფონის, თერჯოლის, სამტრედიის, ოჩამჩირის, შუახევისა და რესპუბლიკის სხვა რაიონებში, ქალაქ ჭიათურის ზონაში.

ქალთა საზრუნავი უნდა გახდეს უფრო აქტიური ბრძოლა ლოთობასთან, ხალხისა და მისი მომავალი თაობის ზნეობრივი ჯანმრთელობის ისეთ საშიშ მტერთან, როგორიც არის ნარკომანია. სწორედ ქალთა საბჭოებმა უნდა გაიზიარონ თავიანთი როლი მართლწესრიგის დარღვევის პროფილაქტიკაში, რომელსაც თვითონ ქალები სჩადიან. ყველასთვის ხომ ნათელია, თუ რა შორს მივყავართ ასეთი ტრაგედიის შედეგებს, თუნდაც ეს იმ-ვითი მოვლენა იყოს.

ქალთა რესპუბლიკურმა საბჭომ, ქალთა საბჭოებმა შრომთის კოლექტივებში და საცხოვრებელ ადგილას აქტიურად. უნდა განხორციელონ პარტიის პოლიტიკა, დაიკავონ პრინციპული პოზიცია რესპუბლიკის სოციალური, ეკონომიკური და კულტურული პრობლემების გადაჭრაში.

კონფერენციაზე აირჩიეს ქალთა რესპუბლიკური საბჭო და მისი თავმჯდომარე, რომელიც გახდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ნ. ა. ჯაფარიძე. აირჩიეს ქალთა საკავშირო ყრილობის დელეგატები.

(საქინფორმი).

ჯარიმა მფლანგველოგისათვის

(დასასრული)

სიმძლავრეთა გამოყენების ლიმიტს გადააჭარბეს სიონაღის ყველ-კარაქის ქარხანამ, წნორის საყონსერვო ქარხანამ, კაკრეთის პურპროდუქტების კომბინატმა, რისთვისაც ისინი დაჯარიმდნენ. ექვსი საწარმო გამოირთო ქსელიდან დებიტორული დავალიანებისათვის. მათ შორისაა საქკურორტმშენის წყალტუბოს სარემონტო-სამშენებლო სამმართველო, წულუკიძის საყოფაცხოვრებო მომსახურების სახლი, წყურგილის ინერტულ მასალათა ქარხანა.

ყველა რანგის ხელმძღვანელი გაფრთხილებულია, რომ დაუშვებელია ელექტროენერგიის დაკონდეზარი ხარჯვა. მისი გაფლანგვის ერთი ფაქტიც კი არ უნდა ეპატიოს არავის. სამრეწველო საწარმოების მიერ ელექტროენერგიის გადახარჯვის შედეგად მოსახლეობას დაეკლება სითბო და სინათლე. ამასთან დაკავშირებით სერიოზულად გააკრიტიკეს გარდაბნის მუყაო-რუბეროიდისა და რუსთავის ცემენტის ქარხნების ხელმძღვანელობა. ამ ქარხნებში დადგენილი არ არის ენერგიის ხარჯვის ხვედრითი ნორმები, საჭიროების გარეშე რთავენ განათებას, დამთავრებული არ არის საამქროების შემინვის სამუშაოები.

განიხილეს აგრეთვე საგარეჯოს რაიონის საწარმოებისა და ორგანიზაციების ზამთრის პერიოდში მუშაობის მდგომარეობა. შემოწმებამ გამოავლინა, რომ აქ ყველა სკოლაში როდი აქვთ სარეზერვო სათბობი, ხოლო №1 საბავშვო ბაღის საქვაბე საერთოდ არ მუშაობს, არ არის თბომომარაგება სავაჭრო ცენტრში.

დიდი ყურადღება დაეთმო მომხმარებლის მიერ გაზის ექსპლოატაციის უსაფრთხოების, აგრეთვე გაზსადენების განშტოებათა მშენებლობის წესების დაცვის საკითხებს. თბილისის საქალაქო აღმასკომს წინადადება მიეცა შემჭიდროვებულ ვადებში დაამყაროს წესრიგი ამ საკითხში.

ოპერატიული ჯგუფის სხდომაზე დაისახა ზამთრის სეზონის ენერგომომარაგების წარმატებით დამთავრების ღონისძიებანი.

(საქინფორმი).

ᲙᲐᲠᲘᲙᲐᲢᲣᲠᲘᲡᲢᲘᲡ ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘ



— თქვენ ხომ ჯერ თვალიც არ გადაგვლიათ (წარწერები ქალალდებზე: „საბჭოთა წინადადება ყოველგვარი ბირთვული გამოცდის გაყინვის შესახებ“, „სსრ კავშირის გადაწყვეტილება პირველმა არ გამოიყენოს ბირთვული იარაღი“ და ა. შ.).

„ᲓᲔᲘᲚᲘ ᲣᲝᲠᲚᲓᲘ“, ნიუ-იორკი.

ᲣᲨᲘᲨᲠᲝᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲒᲠᲝᲨᲝ

სასწრაფო მოწოდება

ნიუ-იორკი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭომ კრიზისული სიტუაციის გამო სასწრაფოდ მოუწოდა ირანსა და ერაყს შეასრულონ მისი წინანდელი რეზოლუციები — შეწყვიტონ საომარი მოქმედება და მოაწესრიგონ შეიარაღებული კონფლიქტი მშვიდობიანი საშუალებებით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების შესაბამისად. უშიშროების საბჭოს განცხადებაში გამოთქმულია სერიოზული შეშფოთება ირან-ერაყის შეიარაღებული კონფლიქტის ესკალაციისა და მისი შემდგომი გაფართოების საშიშროების გამო, რაც კიდევ უფრო მეტ საფრთხეს უქმნის მთელი რეგიონის უშიშროებას.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ დეკემბრის დამლევს დაწყებული და დღემდე მიმდინარე დიდი მასშტაბის საომარი ოპერაციების დროს ორივე მხარე ერომანეთს ბრალად სდებს შეიარაღებული მოქმედების წარმოებასთან დაკავშირებული საერთაშორისო კანონებისა და ნორმების სერიოზულ დარღვევებს. კონფლიქტის ესკალაციას მოაყვა დიდძალი მსხვერპლი როგორც საბრძოლო მოქმედების მონაწილეთა შორის, ისე სამოქალაქო მოსახლეობაში, ადამიანთა ტანჯვა-წამება და დიდი მატერიალური ზარალი.

უშიშროების საბჭომ მხარი დაუჭირა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის შუამავლობას კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგებისათვის და მოუწოდა განაგრძოს ეს მეცადინეობა.

ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘ

თავდასხმა ლუდხიანში

დელი. ქალაქ ლუდხიანის ცენტრში შეიარაღებული თავდასხმის შედეგად მოკლეს პენჯაბის მთავრობის ყოფილი მინისტრი, ინდოეთის ეროვნული კონგრესი (ი) პარტიის პენჯაბის შტატის ორგანიზაციის გენერალური მდივანი ჯოგინდერ პალ პანდეი. როგორც იუნის სააგენტო იუწყება, ტეროროისტების მიერ ავტომანქანისათვის ცეცხლის დაშენის შედეგად, რომელშიც პანდეი იჯდა, დაიღუპა ავრეთვე მისი მეკელი. ხელისუფლები ახორციელებენ ღონისძიებებს ბოროტმოქმედთა შესაპყრობად.

ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲘ

შეტაკებანი იერუსალიმში

დამასკო. არაბებსა და ისრაელ მოსახლეთა შორის ცხარე შეტაკებანი მოხდა აღმოსავლეთ იერუსალიმში, რომელიც უკანონოდ აქვს დაპყრობილი ისრაელს. ამის საბაბი გახდა ორი დღის წინათ სიონისტი არამზადების ბარბაროსული გამოხდომა პალესტინელი ჭაბუკების წინააღმდეგ. ისრაელმა მოსახლეებმა არაბების წინააღმდეგ იარაღი და ხელკეტები იხმარეს. შეტაკების შედეგად არიან დაჭრილები.

პასუხისმგებლობა ᲪᲘᲕᲘᲚᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲑᲔᲓᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝ ᲛᲝᲫᲠᲐᲮᲕᲔᲑᲘ ᲡᲐᲒᲐᲛᲝᲗᲐ ᲡᲐᲛᲨᲕᲘᲓᲝᲒᲝ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

დელი. „სსრ კავშირის მიერ წამოყენებული მიმდინარე ახლლეულის დამლევამდე ბირთვული იარაღისა და მასობრივი მოსპობის სხვა საშუალებების ეტაპობრივი ლიკვიდაციის პროგრამა ომებისა და იარაღისაგან თავისუფალი მტკიცე მშვიდობის იმედს უსახავს მთელ კაცობრობას, — განაცხადა ცნობილმა ინდოელმა მწერალმა და ლიტერატურულმა კრიტიკოსმა, თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწემ მულკ რაჯ ანანდმა. მ. ს. გორბაჩოვის 1986 წლის 15 იანვრის განცხადება, რომელიც ბირთვული კატასტროფის საფრთხის სამუდამად აღმოფხვრის კონკრეტულ გეგმას შეიცავს, გამსკვალულია ცივილიზაციის ბედისათვის დიდი მორალური პასუხისმგებლობის გრძნობით“.

ლიმა. 2000 წლამდე ბირთვული იარაღის სრული ლიკვიდაციის მიზნით სსრ კავშირის მეცადინეობას დიდი შეფასება მიხცა პერუს საგარეო საქმეთა მინისტრმა ალან ვაგნერმა. მინისტრმა ღრმა შეშფოთება გამოთქვა კოსმოსში გამალებული შეიარაღების გადატანის საფრთხის და იმის გამო, რომ ამერიკის შეერთებული შტატები განაგრძობს „ვარსკვლავეთის ომების“ გეგმების რეალიზაციას, რასაც მან როგორც ბირთვული, ისე ჩვეულებრივი გამალებული შეიარაღების განგრძობის აბსურდული პოლიტიკა უწოდა. ამ პოლიტიკას კაცობრობის დაღუპვისაკენ მიეყვანავარ, მისი შედეგია სიღატაკის, შიმშილისა და სნეულებების წინაალმდეგ საბრძოლველად საჭირო რესურსების ამაო ხარჯვა.

ლონდონი. როცა ერთი წლის წინათ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა გააკეთა ისტორიული განცხადება, რომელიც 2000 წლისათვის ბირთვული იარაღის სრული ლიკვიდაციის პროგრამას შეიცავდა, პლანეტის მშვიდობისმოყვარე ძალები გამოთქვამდნენ იმედს, რომ უკვე ახლანდელი თაობის „სიცოცხლეში შეიძლება იქცეს რეალობად კაცობრობის ოცნება მომაკვდინებელი იარაღისაგან ხსნის შესახებ. ეს განაცხადა ინგლისის ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ, „მშვიდობის მომხრე ლეიბორისტების“ ორგანიზაციის პრეზიდენტმა ფრენკ ოლაუნმა. სრულიად განსხვავებული პოზიცია დიაკავეს ვაშინგტონში, თქვა ბრიტანელმა მოღვაწემ. თვითრმა სახლმა არა მარტო არ ისურვა ყურად ეღო სსრ კავშირის მრავალგზისი მოწოდებები მორატორიუმთან შეერთების თაობაზე, არამედ გააქტიურა კიდეც თავისი ბირთვული აფეთქებების პროგრამა. სწორედ შეერთებული შტატებია „ვარსკვლავეთის ომების“ უგუნური პროგრამის ინიციატორი და სულისჩამდგმელი, რომელმაც ჩიხში მოაქცია პროგრესი რეიკიავიკში და სერიოზული დაბრკოლება შექმნა უბირთვო იარაღისაგან თავისუფალი მსოფლიოსაკენ მიმავალ გზაზე.

ᲚᲐᲜᲩᲮᲣᲗᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐᲗᲐ ᲐᲕ-ᲙᲐᲠᲒᲘ

თითქოსდა ჯერ არ ჩამცხრალა სიბარული მას შემდეგ, რაც ლანჩხუთის „გურიამ“ საბჭოთა საფეხბურთო ელიტაში დაიმკვიდრა ადგილი, სიხარული არა მარტო ფეხბურთის მოყვარულებისა, არამედ ყველასი, ვისაც გულთან ახლოს მიაკვს ჩვენი რესპუბლიკის პრესტიჟი, მის მიერ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ყველა სფეროში გადადგმული თითოეული ნაბიჯი. სპორტსმენთა წარმატება ხომ მარტო დიდი ფეხბურთის რუკაზე საქართველოს ერთ-ერთი რაიონული ცენტრის აღნიშვნას, ამ რაიონულ ცენტრში უძლიერესი საბჭოთა გუნდების ჩამოსვლას არ გულისხმობს — იგი სტიმულს აძლევს მასობრივი სპორტის შემდგომ განვითარებას ვრცელ რეგიონში, სოციალურ-კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების გამოყენების აქტივიზაციას, ხაზს უსვამს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანოების ზრუნვას იმისათვის, რომ აქტიური, სახარგებლო, ხელიერად შინაარსიანი დასვენების საუკეთესო პირობები შეუქმნან ადამიანებს.

ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐ

გაჩაღებულია დღეს ლანჩხუთში. პატარა სტადიონის რეკონსტრუქციაში, რომელიც თანამედროვე სპორტულ კომპლექსად — ფიზკულტურისა და სპორტის ნამდვილ ცენტრად გადაიქცევა, სოციალური დანიშნულების სხვა ობიექტების განახლებასა და მშენებლობაში გულმხურვალედ ჩაბმულან არა მარტო რესპუბლიკის სხვადასხვა სამინისტროსა თუ უწყების წარმომადგენლები, არამედ ლანჩხუთისა და მისი მეზობელი რაიონების მცხოვრებნიც.

145 რკინაბეტონის ფილა დაადგეს კოკისპირულ წვიმაში ჩრდილოეთის ტრიბუნაზე „აგრომშენის“ № 8 სამშენებლო ტრესტის № 70 მოძრავ-მექანიზებული კოლონის მემონტაჟეებმა ვაჟა შავიძემ, გენო ლომაძემ, სოსო ორაგველიძემ, მებეტონეებმა პავლე დვალიშვილმა და გივი წოლოსანმა, ხოლო ნიგოეთის საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორი, საქართველოს კომპარტიის XVI და XVII ყრილობების დელეგატი ბაადურ ნარსია 20 თანასოფლელთან ერთად ფეხბურთის მინდვრის გაზონს დასტრიალებს.

— ოცდაათუ წელს ვიმუშავე ტრაქტორზე, — ამბობს იგი, — მაგრამ მაინც მიწის შვილი ვარ, ამიტომაც მახარებს მასთან დაკავშირებული ყველანაირი სამუშაო. მთავარია დახმარების სურვილი, საკუთარი წვლილის შეტანა სახალხო მშენებლობაში.

აქ მხარდამხარ შრომობენ ქობულეთის, ჩოხატაურის, მახარაძის, სამტრედიის, ცხაკაიის რაიონების, ქალაქების ბათუმის, ჭუთაისის, ფოთის მშრომელები... ყოველდღიურად მარტო სტადიონის რეკონსტრუქციაზე 500 კაცი მუშაობს. ამინდის რთულ პირობებში დიდი მონდომება, ინიციატივა და პასუხისმგებლობა გამოავლინეს ლანჩხუთის ახალმშენებლებმა. „თბილისგვირაბმშენის“, სოხუმის № 9 საგვირაბო რაზმის, რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტროს, „საქნავთობის“, „საქმთავარმონტაჟსპეცმშენის“ ქუთაისის სამმართველოს, „საქჰიდროენერგომშენის“ საგზაო მშენებლობის სამმართველოს და სხვა ორგანიზაცია-დაწესებულებების სპეციალისტებმა. ისინი ძალ-ღონეს არ იშურებენ, რათა ლანჩხუთი რაც შეიძლება მალე დამშვენდეს დიდი ფეხბურთისთვის საჭირო ნაგებობებით.

მაგრამ, სამწუხაროდ, მშენებლობის რიტმზე მარტო ამინდი როდი ახდენს გავლენას.

ᲕᲔᲫᲔᲑᲗ ᲕᲐᲒᲝᲜᲔᲑᲡ!

— **მწერალ** ს. ალტოვის ცნობილი იუმორესკის გმირების მსგავსად იძახიან დღეს ლანჩხუთელები. ალბათ, ბევრს ახსოვს ამ იუმორესკაში აღწერილი ორი № 9 ვაგონის თავგადასავალი. ამდენივე ვაგონს ეძებენ ახლაც, ოღონდ სხვა ნომრებით — 60576121 და 68218544. ჯერ კიდევ ხუთ და შვიდ იანვარს გამოუგზავრნეს ისინი რუსთავიდან ლანჩხუთის სტადიონის ტრიბუნების ასაგებად განკუთვნილი ლითონკონსტრუქციებით. უკანასკნელად ვაგონები 11 იანვარს ნახეს თბილისის სახარისხებელ სადგურში (ნავთლუღი—2). აქედან № 2340 მატარებლით ისინი ხაშურისაკენ გაემართნენ, სადაც რატომღაც ვერ ჩაიდწიეს. ლითონკონსტრუქციებით დატვირთულმა რუსთავიდან 9, 10 და 13 იანვარს გამოსულმა კიდევ ოთხმა ვაგონმა ხაშურს კი მიაღწია, მაგრამ დღემდე სადგურს ვერ გასცდა. მახარაძის რკინაბეტონის ქარხანაში კი ვერა და ვერ ეღირსნენ ფილების დასამზადებელ 24 ყალიბს — ეს ვაგონიც „უგზოოდ-ვლოდ დაიკარგა“. ვაგონების ნომრები აქ იმიტომ მოვიყვანეთ, რომ მკითხველებმა შეძლონ მათი დახსომება და მიუთითონ ამიერკავკასიის რკინიგზის მუშაკებს (სამმართველოს უფროსის მოადგილე — გ. ბალანჩივაძე, მთავარი ინჟინერის მოვალეობის შემსრულებელი — შ. ვეკუა), სად იმყოფება ტვირთი, რომელსაც ასე ელიან ლანჩხუთში.

ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ — ᲮᲐᲚᲢᲣᲠᲐ!

— **ასეთი** პლაკატის გამოკვრა შეიძლება სასტუმრო „გურიის“ შესასვლელთან, რომლის რეკონსტრუქციაც ახლა მიმდინარეობს. აქ მთლიანად უნდა განახლდეს ნომრები, სანტექნიკური კვანძები, მოეწყოს ჰოლები და დერეფნები, მოგვარდეს ცხელი წყლის მიწოდება, ფაქტობრივად ხელახლა შეიქმნას კვების ბლოკი. ჩამოთვლილი ობიექტებიდან უკანასკნელზე საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს წარმომადგენლებს (მინისტრის მოადგილე — ა. ყურაშვილი, სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს უფროსი — ბ. კვანტალიანი, სამუშაოთა მწარმოებელი — ა. ფირცხალაიშვილი) საერთოდ ვერ მიუწვდათ რატომღაც ხელი, ყველაფერი დანარჩენი კი მუშაობის საწყის სტადიაზეა. მაგრამ იმის ხარისხიც, რაც უკვე გაკეთდა, სრულიად უგარგისია, ბევრ რამეში იმის მიზეზითაც, რომ მშენებლობის ტექნიკური კონტროლი შეასუსტა ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკურმა სამმართველომ (თავმჯდომარის მოადგილე — ნ. მარგველაშვილი), რომლის ბალანსზეც იმყოფება ამიერიდან ეს ობიექტი. კიდევ ერთხელ გავუსვამთ ხაზს მშენებელთა ციტატოტს და დავძენთ, რომ სასტუმროს დადგენილ ვადაზე ჩაბარება საფრთხეშია.

იბადება კითხვა — რა იქნა ზოგიერთი თანამდებობის პირის მხურვალე ენთუზიაზმი, ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ ყველასთან ერთად რომ ხარობდნენ ლანჩხუთელი სპორტსმენების წარმატებით?

მდგომარეობა, რომელიც ლანჩხუთის რაიონში შეიქმნა სოციალურ-კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობაზე, ერთხელ კიდევ გვარწმუნებს, რომ რიგითი მშრომელების ენთუზიაზმსა და კეთილშობილურ აღმაფრენას მეტი გულისხმიერებით და პასუხისმგებლობით უნდა ეხმაურებოდნენ თავიანთი საქმით და საქმეელით დაინტერესებული სამინისტროების, უწყებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელები.

(საქინფორმი).

ᲛᲘᲬᲐᲓᲝᲜᲔᲝᲑᲐ

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ.

დონეცკში გაიმართა სსრ კავშირის ვაჟთა გუნდების ჩემპიონატის მეორე წრის ორი მატჩი. ეს ორი შეხვედრა ადგილობრივმა „მაბტიორმა“ მოუგო მოსკოვისა და თბილისის დინამოელებს შესაბამისად 91:89 და 102:92. ფაქტობრივად მეორე წრე დამთავრდა, ვინაიდან დარჩენილი 1 მატჩის შედეგი (მოსკოვის „დინამო“ — კაუნასის „ჟალგირისი“) საუკეთესო ექვსეულის შემადგენლობაში ცვლილებებს ვერ შეიტანს. ამრიგად, საუკეთესო ექვსეულში საბოლოოდ დამკვიდრდნენ და მედლებისათვის ბრძოლას განაგრძობენ ცსკა (39 ქულა), კაუნასის „ჟალგირისი“ (36), თბილისის „დინამო“, რიგის „ვეფი, დონეცკის „მაბტიორი“ (35-35 ქულა) და ლენინგრადის „სპარტაკი“ (34).

ᲑᲐᲚᲐᲮᲘᲡ ᲯᲝᲩᲘ.

დელში დამთავრებულ ინდირა განდის ხსოვნისადმი მიძღვნილ საერთაშორისო შეჯიბრებაზე პირველი ადგილი მოიპოვა ჰოლანდიის ვაჟთა ნაკრებმა. მეორე ადგილზე გამოვიდნენ ესპანელები, მესამეზე — ინდოელები, მეოთხე-მეხუთეზე — სსრ კავშირისა და სამხრეთ კორეის ჰოკეისტები.

ᲮᲔᲚᲑᲣᲠᲗᲘ.

სსრ კავშირის სამივე ქალთა საკლუბო გუნდმა ევროპის ტურნირების მეოთხედფინალურ მატჩებში მონაწილეობის უფლება მოიპოვა. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებაზე კიევის „სპარტაკმა“ ტრონჰეიმში (ნორვეგია) ორივე მერვედფინალური მატჩი მოუგო „სვერებორგს“ (23:15 და 26:16), თასების მფლობელთა თასის გათამაშების მეოთხედფინალისტმა კრასნოდარის „კუბანმა“ მერვედფინალში ორი მატჩის ჯამით აჯობა უნგრეთის „დებრეცენს“ (23:23 და 29:24), ხელბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრიზის გათამაშების ორივე მერვედფინალური მატჩი კი ბაკოს „ავტომობილისტმა“ მოუგო ტრონჰეიმის (ნორვეგია) „ბაიასენს“ (25:18 და 29:20). შეგახსენებთ, რომ ვაჟთა კოლექტივებმა — მინსკის არმიელთა გუნდმა, ცსკამ და კაუნასის „გრანიტასმა“ ევროპის ტურნირების უკვე ნახევარფინალურ მატჩებში თამაშის უფლება მოიპოვეს.

ᲛᲐᲫᲚᲝᲡᲜᲝᲑᲐ.

ჩელიაბინსკის მძლეოსნურ მანეჟში გამართულ საკავშირო თასის გათამაშების ნახევარფინალურ შეჯიბრებაზე დახურული დარბაზებისთვის მსოფლიოში სეზონის საუკეთესო მაჩვენებლით ყველას აჯობა პერმელმა მარინე ანტონიუკმა: მან ბირთვი ჩარა 20,34 მეტრზე. ჩელიაბინსკელმა მარინე დორონინამ კი მსოფლიოში სეზონის საუკეთესო შედეგი გაიმეორა სიმაღლეზე ხტომაში — 194 სმ.

ᲪᲘᲒᲝᲠᲐᲝᲑᲐ.

ჰოლანდიის ქალაქ გრონინგენში დამთავრებულ ქალთა შორის ევროპის ჩემპიონატზე ციგურებით სწრაფრბენაში პირველობას დაეუფლა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სპორტსმენი ანდრეა ერიგშონი. იგი უძლიერესი იყო ოთხივე დისტანციაზე და 178,507 საჯარიმო ქულა დააგროვა. მეორე ადგილზე გამოვიდა ჰოლანდიელი ივონ ვან გენიპი — 180,836, მესამეზე — ჟაკლინ ბერნერი (გდრ) — 182,425. საბჭოთა სპორტსმენთაგან საუკეთესო იყო ნატალია არტამონოვა (184,613), რომელსაც წილად მეოთხე ადგილი ხვდა.

ᲑᲘᲗᲝᲚᲝᲜᲘ.

იტალიის ქალაქ ანტერსელვაში გამართულ შეჯიბრებაზე, რომელიც მსოფლიო თასის გათამაშების მორიგი ეტაპი იყო, წარმატებით იასპარეზეს საბჭოთა სპორტსმენებმა. სსრ კავშირის პირველმა ნაკრებმა 4X7,5 კილომეტრზე ესტაფეტაში უძლიერესის წოდება მოიპოვა — 1:29.28,4.

ᲡᲐᲛᲔᲮᲝ.

მონღოლეთის ქალაქ დარხანში დამთავრებულ საერთაშორისო შეჯიბრებაზე გუნდური გამარჯვება მოიპოვა მასპინძელთა ნაკრებმა. საბჭოთა ნაკრები მეორე ადგილზე გამოვიდა. სსრ კავშირის სპორტსმენთაგან პირველ ადგილებზე გამოვიდნენ გ. ტუხლანიანი (52 კგ), ი. ორლოვი (82 კგ) და ვ. საველოვი (მძიმე წონა). მონღოლებმა 6 ოქროს მედალი მოიპოვეს, ბულგარელებმა — 1.

ᲛᲝᲠᲘᲒᲝ ᲛᲔᲪᲐᲓᲘᲜᲝᲑᲐ

24 და 25 იანვარს ჭადრაკის რესპუბლიკურ სასახლეში (ლენინის ქუჩა, 37; კიროვის პარკი) გაიმართება ჭადრაკის კულტურის რესპუბლიკური სახალხო უნივერსიტეტის მორიგი მეცადინეობები.

24 იანვარს ლექციებს წაიკითხავენ: საერთაშორისო დოსტატი ლ. პოლუგაევსკი (თემაზე: „სიცილიური დაცვის ზოგიერთი ასპექტი“), საერთაშორისო ოსტატი ზ. აზმაიფარაშვილი („გრუნფელდის დაცვა“), დოკენტი გ. გამრეკელი („მორფი, როგორც სტრატეგი“). დასაწყისი 16 საათზე.

25 იანვარს 11 საათზე სემინარული მეცადინეობები მოეწყობა. დამდეგობების ფაკულტეტზე სემინარს წარუძღვებიან საერთაშორისო ოსტატი ლ. პოლუგაევსკი და ოსტატი თ. კიკინი, ინსტრუქტორ-მწვრთნელთა ფაკულტეტზე — დოკენტი გ. თხელიძე და რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი შ. ინწკირვილი, ინსტრუქტორ-ორგანიზატორთა ფაკულტეტზე — რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი ო. ალხანიშვილი და საერთაშორისო არბიტრი ე. მელიქსეთ-ბეგი.

რედაქტორის მოადგილე
დ. ᲘᲝᲡᲔᲚᲘᲐᲜᲘ.

ᲜᲘᲓᲠᲝᲒᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲤᲠᲘᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲔᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘ

ᲩᲕᲔᲜᲘ რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ორგანოების თხოვნით ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სარდლობამ მეომართა ქვეგანაყოფები გაგზავნა დიდთოვლობასთან დაკავშირებით ხალხის დასახმარებლად. მათი ხელმძღვანელობისათვის შეიქმნა ოპერატიული ჯგუფი. ჯგუფის მეთაური, ოლქის საინჟინრო ჯარების უფროსი, გენერალ-მაიორი პ. ბროკეკო ფასანაურშია. უშუალოდ სტიქიური უბედურების რაიონში მუშაობენ ოლქის სარდლობის სხვა წარმომადგენლები.

შტაბში კი მორიგეები ადგენენ ოპერატიულ ცნობებს, ამყარებენ კავშირს ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებთან, გადასცემენ ბრძანებებს. აქ მოსული ცნობებით გამოიკვეთება მეომრათა ზუსტი, თავდადებული მოქმედების სურათი.

...ათობით საათი იფრინეს ვერტმფრინავებით დათოლილ მწვერვალებზე პირველი კლასის მფრინავებმა პოლკოვნიკმა ა. ლუკაშოვმა, მაიორებმა ე. კოჩუგურმა, ვ. კლიმკინმა და სხვებმა. თავიანთი ვერტმფრინავებით მათ გახიზნეს ხალხი, პროდუქტები მიაწოდეს მაშველთათვის ჯერ კიდევ მიუდგომელ ადგილებში. ბევრ იმათგანს, რომლებიც ავიატორებმა იხსნეს, ხვდებიან მთაში მოწყობილ კვებისა და გათბობის პუნქტში უფროსი ლეიტენანტის ა. ნევედარის ხელქვეითები. აქ ისევე, როგორც სხვა ასეთ პუნქტებში, დაზარალებულებს მისცეს თბილი ტანსაცმლის ათობით კომპლექტი, ორგანიზებულია მათი სამჯერადი კვება.

მესტიის რაიონში კვლავ ებრძვის ხერგილებს აქ ჩამოსული მესანგრეთა ჯგუფი უფროსი ლეიტენანტის ს. დანილოვის მეთაურობით. შეუცვლელად მუშაობს თოვლის გაწმენდაზე საგზაო მანქანის მძღოლი, რიგითი ნ. ბერესნევი. სხვა რაიონებში მათმა ამხანაგებმა უკვე გაწმინდეს თოვლის ხერგილებისაგან ათობით კილომეტრი საავტომობილო გზა, აღადგინეს ელექტროგადამცემი ხაზები, გაკვლეს გზები დაშორებული სოფლებისაკენ. გამოიყვანეს ხალხი ზვავსაშიში ზონებიდან.

საერთო ვითარება სტიქიური უბედურების რაიონებში კალაპოტში დგება, მაგრამ, სინოპტიკოსების პროგნოზებით, კვლავ შეიძლება ჩამოწვეს ზვავები, და მეომრებიც მზად არიან...

(საქინფორმი).

ᲛᲘᲡᲙᲝᲕᲘ

20 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ

პირველი პროგრამა. 8.00 — დილის ვარჯიში. მულტფილმი. მუსიკა. 8.30 — „ვრემია“. 9.05 — ცხოველთა სამყაროში. 10.05 — საბჭოური მუსიკის კონცერტი. 10.30 — ვისწავლოთ ლენინისაგან. ტელეეექსკურსია „ვ. ი. ლენინის კრემლის კაბინეტ-ბინის“ მუზეუმში. 11.00 და 17.00 — ახალი ამბები. 17.15 — დოკუმენტური ტელეფილმი. 17.45 — მოსწავლეთა შეხვედრა ილიჩევსკის საზღვაო სავაჭრო ნავსადგურის დოკერების ბრიგადირთან ა. ა. ბარანოვსკისთან. 18.30 — „და ვერაფერი ვერ დაფარავს ხალხის გზას მისკენ“. მიპყავს ს. ს. გაბიჩენკოს. 19.30 — ტ. ხრენიკოვი. № 3 კონცერტი ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის. 20.00 — სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების უნივერსიტეტი. 20.45 — ახალი ამბები. 20.55 — „ვ. ი. ლენინის პორტრეტის შტრიხები“. მესამე ფილმი. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — ლიტერატურული შეხვედრები. მონაწილეობენ მწერლები ლ. ლეონოვი და ი. ბონდარევი და მ